


საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საძმომი, ბოგბინე ბეჭე-
უტი სიფყავა, ცედილებით და ქაბებით ბუბ-
თის გაფანა ყველა უჯანდისბაჭე უსამაგლეხია.

სამშაბათი, 6 თებერვალი. 2018 წ. №25 (8426), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

საქართველოსა და ევროკავშირს ბრწყინვალე ურთიერთობები აქვთ!



საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში ასოცირების საბჭოს პოლო სხდომის შემდეგ მიღწეულია დიდი პროგრესი და უმნიშვნელოვანესი შედეგები, - ამის შესახებ ბრიუსელში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს სხდომაზე აღნიშნა, რომელზეც ქართულ დელეგაციას საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვიციანიც მონაწილეობდა.

საბჭოს რიგით მეოთხე შეხვედრაზე განიხილეს ასოცირების შეთანხმებისა და ღრმა და ყოველსმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის კუთხით მიღწეული ხელშეწყობის შედეგები. ამ კონტექსტში საბჭომ აღნიშნა 2017 წლის ანგარიში ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ, რომელშიც პოზიტიურად არის შეფასებული საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესი.

ასოცირების საბჭო მიესალმა საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას, განახორციელოს რე-

ფორმები, რომლებიც ევროკავშირთან ურთიერთობების გაღრმავებას ისახავს მიზნად. ევროკავშირმა დადებითად შეაფასა განხორციელებული რეფორმები, რომლებმაც განამტკიცა საქართველოს, როგორც რეგიონში ევროკავშირის სტრატეგიული პარტნიორის პოზიცია.

ასევე, საუბარი შეეხო საქართველო-ევროკავშირის ასოცირების განახლებულ დღის წესრიგს, რომელიც კომპლექსური დოკუმენტია და მოიცავს პრიორიტეტებს 2020 წლამდე, მათ შორის რეფორმებს დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების კუთხით, სექტორულ და სავაჭრო რეფორმებს.

ევროკავშირმა დაადასტურა მზადყოფნა, განაგრძოს საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობა საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი დღის წესრიგის წარმატებით განხორციელების პროცესში. საბჭომ აღნიშნა, რომ 2017 წელი წარმატებული იყო საქართველოსთვის ევროპული ინტეგრაციის გზაზე და მიღწეული იყო ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები ევროკავშირთან ორმხრივ ურთიერთობებში - მათ შორის უვიზო რეჟიმის წარმატებული იმპლემენტაცია. ქართულმა დელეგაციამ საბჭოს სხდომაზე დეტალურად ისაუბრა ქვეყანაში გასული წლის განმავლობაში გატარებულ რეფორმებზე. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი მიესალმა ამ მიმართულებით არსებულ მიღწევებს.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ბრწყინვალე ურთიერთობები აქვთ. მინდა, მივსალმო თქვენს წარმატებებს. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში საერთაშორისო სტანდარტების დაცვით ჩატარდა და ეს ერთ-ერთი ODIHR-მა დაადასტურა. ჩვენ მოხარული ვართ ვენციის კომისიის დადებითი შთაბეჭდილებით საქართველოს საკონსტიტუციო რეფორმასთან დაკავშირებით“, - აღნიშნა ფედერიკა მოგერინი.



სპორტი - იაპონია-საქართველოს მეგობრობის სიმბოლო!


საქართველოს ვიცე-პრემიერს, საგარეო საქმეთა მინისტრს, მის ალმატაულეზას, პატრონ მისიელ ჯანაილიძეს

გულითა და სულით გილოცავთ 2018 წლის სუმოს ჰაცუბაშოზე (პირველ ტურში) ქართველი სუმოსტის ტოჩინოშინის გამარჯვებას. მისი წარმატება ძალიან სასიხარულოა და აღსანიშნავია ჩვენი ქვეყნების მეგობრული ურთიერთობის ისტორიაში.

ვუსურვებ მას მომავალშიც წარმატებებს და ჩვენს ქვეყნებს ორმხრივი ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებას.

ტარო კონო,

იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრი
30 იანვარი, 2018



მამია ალასანია - ეროვნული გმირი!

საქართველოს პრეზიდენტმა მამია ალასანიას ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა და 9 მებრძოლი ვახტანგ გორგასლის პირველი და მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. საქართველოს პრეზიდენტმა სამშობლოს დაცვისა და ერთიანობისათვის ბრძოლაში გამოჩენილი განსაკუთრებული მამაცობის, გამორჩეული გმირობისა და თავდადებისათვის 1993 წელს, სოხუმის დაცემისას, სეპარატისტების მიერ დახვრეტილი უშიშროების პოლკოვნიკი მამია ალასანია ეროვნული გმირისა და 9 მებრძოლი ვახტანგ გორგასლის პირველი და მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. გიორგი მარგველაშვილმა საქართველოს სახელმწიფო ჯილდოები გუშინ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლთა ოჯახის წევრებს პრეზიდენტის სასახლეში პირადად გადასცა და მადლობა გადაუხადა გმირობისა და თავდადებისათვის.

ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით სიკვდილის შემდეგ დაჯილდოვდნენ: მერაბ კვიციანიძე, გენერალ-ლეიტენანტი, შალვა ნადირაძე, გივი პაპუაშვილი, სერგო სილაგაძე, ალექსანდრე ფარცვანია, ვახტანგ ფარცვანია, არსველ შინგალია, ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით კი, ელგუჯა შარტავა.

ქართველი რუსოფილების გასაგონად!



თაღო
ჯაფარიძე:

საქართველოს განსხვავებული ოპტიკა 4 5

გზად ევროპისკენ - ევროპული ცოდნით!

გორა
როგოვაძე,
დიმიტრი
ბერიძე



ფრანგული უმაღლესი განათლების ტაბუ

მოსახლეობისგან თითქმის მიტოვებულ უგბულს ტურიზმი 12 ააღორძინებს!




ირაკლი კობახიძე აშშ-ში ვიზიტი დაიწყო

საპარტოვლოს პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტი დაიწყო. ირაკლი კობახიძე გუშინ შეხვედრებს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის პრეზიდენტ დენის ბოგანთან, აშშ-ის გერმანიის მარშალის ფონდის წამყვან ექსპერტებთან და კონგრესის კვლევითი სამსახურის დირექტორ მერი მაზანკთან მართავდა.

გუშინვე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწის პირველ მოადგილეს, ელიზაბეტ მილარდს შეხვდა.

ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი კობახიძე კონგრესის წარმომადგენელთა პალატის სპიკერ პოლ რიანსს, კონგრესში საქართველოს მეგობართა ჯგუფის თავმჯდომარე ტედ პოსს და თანათავმჯდომარე ჯერი კონოლის შეხვედრა. დაგეგმილია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა წარმომადგენელთა პალატასთან არსებული კონგრესის დემოკრატიული პარტნიორობის თავმჯდომარე პიტერ როსკამთან, წარმომადგენელთა პალატის უმრავლესობის ხელმძღვანელობასთან, კონგრესისა და სენატის წევრებთან. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ამერიკის შეერთებულ შტატებში ვიზიტს 10 თებერვალს დაასრულებს.



პროკავშირიდან ინვესტიციები 441 მლნ აშშ დოლარი შეაღებინა

2017 წლის განმავლობაში სავაჭრო ბრუნვა საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2 პროცენტზე მეტით გაიზარდა და 2,844 მლნ. აშშ დოლარს გადააჭარბა. აღნიშნულმა მაჩვენებელმა საქართველოს მთლიანი ბრუნვის დაახლოებით 27 პროცენტი შეადგინა, - განაცხადა პირველი ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა, რომელიც, საქართველოს სამთავრობო დელეგაციის შემადგენლობაში, საქართველო-ევროკავშირის ასოციაციის საბჭოს სხდომაში მონაწილეობს. პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, აღსანიშნავია, რომ საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში 2017 წელს 13 პროცენტით გაიზარდა და ნომინალში 647 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, მნიშვნელოვნად გაიზარდა ინდუსტრიული პროდუქციის ექსპორტი. დიმიტრი ქუმსიშვილის ინფორმაციით, 2017 წლის 9 თვის მონაცემებით, ევროკავშირიდან განხორციელებულმა ინვესტიციებმა 441 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 6 პროცენტით მეტია. „აღნიშნული პოზიტიური შედეგები, რა თქმა უნდა, ერთი მხრივ, კერძო სექტორის დამსახურებაა, მეორე



მხრივ კი, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების, რომელიც ევროკავშირთან გაგვაჩნია და ასევე იმ ბიზნეს-კლიმატის, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არის. რაც შეეხება რეფორმებს ასოციაციისა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ფარგლებში, ჩვენ სრულად ვასრულებთ ჩვენზე აღებულ ვალდებულებებს, - განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

სკოლებში რელიგიის სწავლებასთან დაკავშირებით უშუალო ჯერ არ დანუბნულა!

ბანათლები და მეცნიერების მინისტრის მოადგილის ლია გიგაურის განცხადებით, სკოლებში რელიგიის გაკვეთილების ჩატარება არ იგეგმება.

„სკოლებში რელიგიის გაკვეთილების ჩატარება არ იგეგმება. მინისტრის ინიციატივა საშუალო საფეხურზე არჩევით საგნად რელიგიების ისტორიისა და კულტურის შემოტანას ენებოდა. ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა ჯერ არ დანუბნულა. ეს იყო იდეა, რომელიც განიხილება“, - განაცხადა გიგაურმა.

ცნობისთვის, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გეგმავს, არჩევით საგნად სკოლებში რელიგიის სწავლება დაბრუნდეს.

„ჩაღებას არ ვაპირებთ“!

ჩაღებას არ ვაპირებთ, ჩაღება ჩვენი პროფესიონალიზმის და ჩვენი ინტელექტის შეურაცხყოფაა?, - განაცხადა შს მინისტრის მოადგილე ნათია მეზვრიშვილმა შსს-ს კამპანიაზე „არა ჩაღებას“ კომენტარებისას. „შსს ერთმნიშვნელოვნად ვამბობთ - არა ჩაღებას.

ამ მესიჯით ჩვენ პირველ რიგში ვამბობთ იმას, რომ ჩაღებას არ ვაპირებთ. ეს ერთი, მეორე - ჩაღება ჩვენი პროფესიონალიზმის და ჩვენი ინტელექტის შეურაცხყოფაა. შესაბამისად, ეს ის მეთოდები არ არის, რომელსაც სამინისტრო აპირებს და ამ კამპანიასთან შეერთებით ჩვენ ეს პოზიცია ძალიან მკაფიოდ დავაფიქსირეთ. ჩვენ რეფორმების ამბიციური გეგმა გვაქვს. ის რეფორმები, რომლებიც შეინარჩუნებენ საქვეყნო სამინისტროს არაერთხელ დააანონსა. ამ მიმართულებით ძალიან ბევრი ნაბიჯის გადადგმას ვაპირებთ. მხოლოდ და მხოლოდ წინ“, - განაცხადა ნათია მეზვრიშვილმა.



სასამართლო სააკაშილის საჩივარი არ დააკმაყოფილა

კიევის სააპელაციო ადმინისტრაციულმა სასამართლომ უკრაინის საიმეგრაციო სამსახურის წინააღმდეგ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის საჩივარი არ დააკმაყოფილა და კიევის საოლქო ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ მიწვევას გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა. გადანაცვლების გასაჩივრება სააკაშვილს არის შესაძლებელი.

საკაშვილის დაცვის მხარე ასაჩივრება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანაცვლებას მისთვის დამატებითი დაცვის საჭიროების მქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე უარის შესახებ. მანამდე საიმეგრაციო სამსახურმა უარი განუცხადა სააკაშვილს დამატებითი დაცვის საჭიროების მქონე პირის სტატუსის მინიჭებაზე, სასამართლომ კი ეს გადანაცვლებაც კანონიერად აღიარა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, მისი მოძრაობა უკრაინის სხვადასხვა ქალაქში მასობრივ საპროტესტო აქციას გამართავს, ამიტომ უკრაინის ხელისუფლება ყველანაირად ეცდებოდა მისი უკრაინიდან დეპორტაციის დაჩქარებას.

„რა თქმა უნდა, ეს არ არის სასამართლო. თუმცა სომხედავს, როგორი მხარდაჭერა მაქვს ხალხის. ხალხი ქუჩაში მხედავს, ჩერდება და ასე გამოხატავს მხარდაჭერას, ასე რომ, მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, შეიძლება, ქვეყნიდან გამოაფეროს, შეიძლება, დამიჭირონ, თუმცა ამ მოძრაობას ვერაფერი შეაჩერებს. თუ ჩემი ექსტრადირება მოხდება, საქართველოში ეს ყველაფერი ძალიან მალე დამთავრდება“, - აცხადებს სააკაშვილი.



მარგველაშვილი სააკაშვილის მოადლიეობას ათასგზის გაუპატიურებულ კონსტიტუციური უფლებების გამოყენებით სდილობს!

ფაქტი - საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი მიხეილ სააკაშვილის პერსონალურად და ჯიქურად შეწყალებას ვერ ბედავს, თუმცა, ისიც ფაქტია, რომ აპირებს მას შტაბური სახე მისცეს სამოხელეო დანაშაულის (მათ შორის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების თუ გადაშენების) ჩამდენი ისეთი პირების შეწყალებას, რომელთაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული.

საკაშვილის მიმართ დამდგარი საყოველთაოდ ცნობილი განაჩენის გათვალისწინებით, ადვილი მისახვედრია, რომ შეწყალების კომისიის ახლებური ჭეშმარიტი მიდგომების დეკლარირებით სააკაშვილის მიმართ შეწყალების საპრეზიდენტო უფლების გამოყენების რეალური, სრული და პირდაპირი შესაძლებლობა დაანონსებული.

ეს ამბავი „იურიდიული დეჟავიუს“ განცდას მიტოვებს და შესაძლებლობას მაძლევს, პარალელურ გავვლო თავად სააკაშვილის მიერ გირგვლიანის მკვლელობისთვის გასამართლებული პირების არა პერსონალურად, არამედ - ორასამდე სამხედრო პირთან ერთად ჯგუ-



ფურად შეწყალების ფაქტთან, რაც საზოგადოებრიობისთვის თვალში ნაცრის შეყრის უსუსური მცდელობა იყო. საქმე ისაა, რომ სააკაშვილის მიერ გირგვლიანის მკვლელების, ვითომდა, შეფარული გზით შეწყალება შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ასეთივე შესაძნევი და სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როდესაც ხედავ, რომ მოქმედი პრეზიდენტი ისე ირია, უკვე საკუთარ განცხადებებს თავადვე უპირისპირდება, კერძოდ: ცოტა ხნის წინათ შეწყალება შეუმჩნეველი არ დარჩენია.

არამედ უკვე პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაციის მსხვერპლიცაა?! მარგველაშვილის ასეთი არათანამიმდევრული და ცვალებადი, მხოლოდ პოლიტიკურ გათვლებზე და პირად გეგმებზე ორიენტირებული განცხადებები და მოქმედებები ახდენს ყველა იმ ღირებულების დისკრედიტაციას, რაც პრეზიდენტს აძლევს გულმონყალების კონსტიტუციით გარანტირებულ დისკრეციულ უფლებამოსილებას.

განსაკუთრებით სამწუხარო კი ის არის, რომ ამ გზით მარგველაშვილს ჩიხში არა მხოლოდ საკუთარი პოლიტიკური პერსონა, ქვეყანაც შეჰყავს და ამას ისე აკეთებს, ალბათ, დარწმუნებულიცაა, რომ ჩანაფიქრს ვერავინ მიუხედავს.

გამოდის, რომ პრეზიდენტს თავისი ხალხი ბრმა, ყრუ და სრულიად უბირი ჰგონია და ეს თავმოყვარე ხალხისთვის, მინიმუმ, სანყენი ფაქტია.

მოკლედ - შეადარეთ ბოლო ორი პრეზიდენტი და მხოლოდ ორი განსხვავებას აღმოაჩენთ. 1. სააკაშვილი მართლა ხალხმა აირჩია და მერე „მადლიერმა“ სააკაშვილმა ეს ხალხი ისე „ათრია“,

როგორც ათრია 2. „შემოულანუნე მარგველაშვილი“ იგანიშვილმა დაგვასვა თავზე და ახლა ამ პრეზიდენტად დასმულ „პრესტავს“ იმ არჩეული და უკიდვანო ხელისუფლებისგან ავად ფრთაშესხული პრეზიდენტისგან განსხვავებით, აშკარად ეტყობა, რომ ხალხის „ათრევა“ კი უნდა, მაგრამ საამისოდ სააკაშვილის არც გაქანება აქვს, არც - თავხედობა და ბოლოს არც - ფანტაზია.

მოკლედ, მარგველაშვილის სახით ჩვენ საბოლოოდ მივიღეთ წინამორბედი სააკაშვილის ძაალიან ფერმკრთალი ასლი, რომელსაც გაუტყბა პრეზიდენტობა და ქოცებისგან შერისხული მხოლოდ ზოგადად ნაცების კი არა, პირდაპირ სააკაშვილის მომადლიერებას ამ ჩვენი ათასგზის უკვე გაუპატიურებული კონსტიტუციური უფლებამოსილების გამოყენებით ცდილობს.

მართალია და „გაი, უბედურო საქართველოვ, საით მიდიხარ?!“ ელზა ჯემსბაძე



ჩვენი უკვე დამკვიდრდა დასავლეთის ქვეყნების, კერძოდ, საფრანგეთის გამოცდილებაზე მითითების ტრადიცია, და, როგორც მიბაძვისა და მიმდევრობის ნიშნულზე (ზოგჯერ, სამწუხაროდ, ბრმა მიბაძვისა). ფრანგული გამოცდილებისა და კულტურის სფერო მთლიანობაში, უდავოდ, კაცობრიობის ფასდაუდებელი მონაპოვარია და ყველაზე საკულდაგულო შესწავლასა და გათავისებებს იმსახურებს.

ეს, პირველ ყოვლისა, შეეხება საზოგადოების დამოკიდებულებას განათლებისადმი, როგორც სიცოცხლის ერთ-ერთი ძირითადი ფასეულობისადმი და, შესაბამისად, საფრანგეთის სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას განათლებისადმი ყურადღება. საკმარისი იქნება იმის თქმა, რომ განათლება ზოგადად, ყველა დონეზე, ფრანგული ბიუჯეტის ყველაზე დიდ საზრუნავს წარმოადგენს. მას მეტი სახსრები ხვედრება ნილად, ვიდრე სოფლის მეურნეობას ან თავდაცვას. 2018 წელს საშუალო, უმაღლესი, სამეცნიერო განათლებისთვის გამოყოფილია ვეებერთელა სახსრები – 50 მილიარდ ევროზე მეტი!!!

ფრანგულ საზოგადოებას და ხელი-სუფლებას მუდმივი ყურადღების ქვეშ აქვს ყველაფერი, რაც განათლების დივერსიფიკაციურ სისტემაში მიმდინარეობს – სკოლამდელიდან უნივერსიტეტის შემდეგ დონეებამდე. ერთი დღეც კი არ გაივლის, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა, განსაკუთრებით ტელევიზიამ არ მოუთხრონ საფრანგეთის სასკოლო და საუნივერსიტეტო ცხოვრების ამა თუ იმ მოვლენების შესახებ. აი, ამ დღეებშიც ცხარე დებატები გაიმართა უმაღლესი განათლების მორტი რეფორმის, კერძოდ, ქვეყნის უნივერსიტეტებში მიღების ახალი სისტემის გამო, რომელიც მიმდინარეობს – 2018 წლიდან იწყება. საერთოდ ეს რეფორმა საფრანგეთის ედუარდ ფილიპის მთავრობის მიერ ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში იყო დამტკიცებული, მაგრამ დისკუსიის პროცესი მოახდინა 2018 წლის 15 იანვარს საერთო ეროვნული ინტერნეტ-პლატფორმის პრეპარატივის (PREPARSUP) გახსნამ, რომელიც მიქმდნენ უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში სასწავლებლად ჩანერის ახალი სისტემის პროცედურას.

ამ დისკუსიის მსვლელობაში ზედაპირზე წამოტივტივდა ისეთი თემა, როგორც აბიტურიენტთა შერჩევა, სელექცია (selection) უმაღლეს სკოლაში სასწავლებლად ჩარიცხვისას – თემა, რომელიც საფრანგეთში ტაბუს წარმოადგენს, აკრძალულია და დღემდე ინვესტაციაზე კამათს. საქმე ისაა, რომ ომის შემდეგ მთელი პერიოდის განმავლობაში, ანუ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, საფრანგეთი მიჰყვება ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის ნორმას (1948 წ.), რომელიც იწყება, რომ „უმაღლესი განათლება ერთნაირად ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის თითოეულის უნარიანობის საფუძველზე.“

ახალმა რაფორმამ, მისი მოწინააღმდეგეების აზრით, შეიძლება, ამ ნორმის გაუმჯობესებზე მიზნით, თანახმობისა და სამართლიანობის პრინციპული დარღვევა გამოიწვიოს და უმაღლესი განათლება სულ უფრო ელიტიზმის სახეობად გადაიქცეოს. ვინ არის მართალი და ვინ – დამნაშავე?

ამაში რომ გავერკვეთ, მცირე ისტორიული ექსკურსის გაკეთება და იმის გაგება მოგვიწევს, როგორ იყო იგი და როგორ მუშაობდა აქამდე, რისი გაკეთება შეეთავაზება. ასევე, იმ მიზეზების ასხნა-განმარტება, რომლებმაც თამაშის წესების შეცვლა გამოიწვია. დასაწყისისთვის გავისენოთ, რომ საუნივერსიტეტო განათლება საფრანგეთში უფრო საუკუნეზე მეტხანს ითვლის. სობონამ ამ საპატიო ისტორიის სიმბოლოა. ნაპოლეონის დროიდან დაწყებული, უკანასკნელ წლებამდე, უნივერსიტეტებში მიღების სისტემა, პრაქტიკულად, შეფერხების გარეშე მუშაობდა: საკმარისი იყო სასკოლო გამოსავლება გამოცდების წარმატებით ჩაბარება (რომლებიც ცნობილი იყო, როგორც **ბაკალავრები**), ან მოკლედ „ბაკ.“ –NB: არ უნდა ავუროთ **ბაკალავრებზე** განათლების ინგლისურ-საქსონურ სისტემაში, სადაც **ბაკალავრი**, „bachelor“ – საუნივერსიტეტო ხა-



სორბონის უნივერსიტეტი

ფრანგული უმაღლესი განათლების ტაბუ

რისხია, რომელიც მოიპოვება ოთხნობიანი სწავლის დასრულების შემდეგად, დათქმულ ვადაში განაცხადის წარდგენა თავის რეგიონულ აკადემიაში (საფრანგეთში მთელი ქვეყანა დაყოფილია რეგიონულ აკადემიებად, რომლებშიც შედიან მოცემული რეგიონის ყველა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებები), მომავალი სწავლის სასურველი მიმართულების არჩევა (რომელიც არ ითვალისწინებს შერჩევას (სელექციას) და არ არის ძალიან მოდური და პოპულარული), და, პრაქტიკულად, უნივერსიტეტში არჩევანის მიხედვით ადგილის ავტომატურად მიღება.

თუმცა უკანასკნელ წლებში ამ მექანიზმს შეფერხებები დაეტყო. მაგალითად, 2017 წლის ივნისში 17 ათასი ლიცენსიტი „თამაშს გარეთ“ აღმოჩნდა. ეს იმიტომაც მოხდა, რომ უმეტესობას სწავლაზე განაცხადები შეჰქონდა ერთსა და იმავე პოპულარულ სპეციალობაზე, ხოლო ადგილების შეზღუდული რაოდენობა მათთვის დადებითი პასუხის გაცემის საშუალებას არ იძლეოდა. ამას ისეთი ფაქტორებიც დაემატა, როგორცაა დემოგრაფიული ზრდა და სტუდენტური ასაკის იმ პირთა რაოდენობის მატება, რომლებსაც სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების დონეზე სურდათ. ამის მიზეზებად მასაც მიიჩნევენ და უნივერსიტეტების ავტონომიასაც, რომელიც გასულ წელთან შედარებით სწავლის მსურველების შერჩევაში მეტ უფლებებს იძლევა. ასეა თუ ისე, პრობლემის გადაწყვეტის და უნივერსიტეტებში ჩარიცხვის მსურველთა ნაწილობრივი მაინც დაკმაყოფილებისათვის სახელმწიფო იძულებული გახდა ლატარიის მეთოდისთვის მიემართა. ამან პრობლემის და კრიტიკის ახალი ტალღა გამოიწვია როგორც იმ დაინტერესებულ პირთაგან, ვისაც უარი ეთქვა, ისე სტუდენტური ასოციაციებისა და პროფკავშირე-

ბის თუ პოლიტიკური პარტიების მხრიდან. ამ მოვლენებმა მთავრობა აიძულა უნივერსიტეტებში სასწავლებლად მიღების ახალი პროცედურა გამოემუშაებინა. იგი სამი ძირითადი ეტაპისგან შედგება: ა) ინფორმაციისაგან ახალი პროცედურის და საუნივერსიტეტო მომზადების მიმართულების არჩევის შესახებ (2017 წლის ნოემბერ-დეკემბერი); ბ) ჩარიცხვის სურვილებისა და განზრახულობების ფორმულირებისაგან (propositions d'admission) (2018 წლის იანვარი-მარტი); გ) უნივერსიტეტების მხრიდან როგორც დადებითი, ისე უარყოფითი პასუხისაგან (2018 წლის 22 მაისიდან 21 სექტემბრამდე).

სიფრთხილის ზომის დაცვისა და ყველა მსურველის დაკმაყოფილების მიზნით გათვალისწინებულია აგრეთვე დამატებითი – მეოთხე ეტაპი (სკოლაში გამოსავლები გამოცდების ჩაბარებისა და ბაკალავრიატის მიღების შემდეგ).

ახალი სისტემის ერთი მთავარი სიახლე ის არის, რომ საუნივერსიტეტო სწავლის მიმართულების არჩევანი ამიერიდან აბიტურიენტის მიერ იმ სკოლასთან ერთად კეთდება, რომელსაც ამოთვალავს. ყოველი არჩევანი (რომელთა მაქსიმალური რაოდენობა ათს არ უნდა აღემატებოდეს) ანალიზდება „მომავლი“ დოსიეში, რომელშიც მოცემულია მასწავლებელთა შესახებები და ასევე აღირიცხება სკოლის დირექტორის თვალსაზრისი. ეს დოსიე წარედგინება იმ დაწესებულებებს, რომლებიც არჩეული აქვს ბაკალავრიატს (2018 წლის 14-დან 31 მარტამდე).

ახალი პროცედურა, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ არის აპრობირებული, უკვე ხდება სტუდენტური ასოციაციების კრიტიკისა და წინააღმდეგობის საგანი. ისინი მიიჩნევენ, რომ ლიცენსიტებს ართმევენ დამოუკიდებელი არჩევანის უფლებას; რომ ამიერიდან დამკვიდრდება „სოფტ სელექციის“ მოდელი. არიან ისეთებიც, ვინც

თვლის, რომ უნივერსიტეტებში მიღების რეფორმას შემდგომი პრივატიზებისა და ფასიანი განათლების გაფართოებისაკენ მივყავართ. ამავდროულად შეუძლებელია ვერ დავინახოთ, რომ განათლების სფერომ და უმაღლესი განათლების ტრადიციულმა მოდელმა საფრანგეთში უკანასკნელი ორი საუკუნის განმავლობაში სერიოზული ცვლილებები განიცადა. ამაზე მეტყველებს ასეთი ფაქტიც: თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში მოსწავლეები, რომლებიც ბაკალავრიატის იღებდნენ, თითოეულ ჩამოსაველებელს იყვნენ, სასკოლო განათლების დემოკრატიზაციამ „ბაკების“ მასობრივად მიღება გამოიწვია (2016 წელს სკოლადამთავრებულთა 87,6% გახდა მათი მფლობელი). უმაღლესი განათლების დივერსიფიკაციის შედეგად, კლასიკური უნივერსიტეტების გვერდით გაჩნდა პოლიტექნიკური და ტექნოლოგიური უმაღლესი სკოლები (რომლებშიც შესანიშნავად არსებობს და მოქმედებს სელექციის „ტაბუიერული“ პრინციპი მისაღები გამოცდების სახით). როგორც საბუნებისმეტყველო, ისე სოციალურ მეცნიერებათა განვითარების შედეგად გაჩნდა უამრავი ახალი მიმართულება და სპეციალობა. უნივერსიტეტების კვლევითი საქმიანობა საფრანგეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა. ყველაფერმა ამაში კი ის გამოიწვია, რომ საფრანგეთის მხოლოდ უმაღლესი განათლების ბიუჯეტი (კვლევების ჩათვლით) 2018 წლისთვის ასტრონომიულ თანხას –24,5 მილიარდ ევროს შეადგენს.

უნივერსიტეტებში მიღების ახალი მოდელის განხორციელებას ხელი ისეთი ღონისძიებების განხორციელებამაც უნდა შეუწყოს, როგორიცაა პრეზიდენტ მაკრონის მიერ გამოცხადებული მიზანი – განათლების საჭიროებისათვის მთლიანი ეროვნული შემოსავლის 3%-ის გამოყოფა, ასევე ისეთმა ღონისძიებებმაც, როგორცაა მინისტრთა კაბინეტის მიერ 2018 წელს განათლების დაფინანსების 700 მილიონი ევროით გაზრდა. უნდა აღინიშნოს, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ ბიუჯეტს მთავრობა მუდმივად ამცირებდა – 256 მილიონით 2016 წელს და 331 მილიონით 2017 წელს.

განათლება და უმაღლესი სკოლა ყველა შემთხვევაში ფრანგი ხალხის საყვარელი პირმშო და სახელმწიფოს სამთავრობო პრიორიტეტი იქნება.

გორა ჩოგოვაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი;



ლიპიტრი ხერიძე, განვითარებისა და სოლიდარობის საერთაშორისო აკადემიის წევრი, საზრუნავით. პარიზი, 2018 წლის იანვარი



ინაპარში ტურიზტების რაოდენობა საბრძოლვად მოიმატა

2018 წლის იანვარში საქართველოს 444,241 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 57,171-ით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით (ზრდა +14.8%)-ია.

იანვრისთვის მანქანებზე უფრო მეტი მოგზაურების ანუ ტურისტების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში 189,476 შეადგინა, რაც 35,393-ით მეტია 2017 წლის იანვრის მანქანებზე (ზრდა+23%).

მონაცემები ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციას შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიანოდა.

იანვარში ყველაზე მეტი ვიზიტი აზერბაიჯანიდან ((0.8%), თურქეთი (+20.1%), სომხეთიდან (+20.9%),რუსეთიდან (+14.6%) და ირანიდან (+92.4%) განხორციელდა.

პოზიტიური ტენდენცია წარჩუნდება ევროკავშირის ქვეყნებიდან, საიდანაც საქართველოში ჩამოსვლების რაოდენობის ზრდის კუთხით, იანვრის თვეში გამოირჩეოდნენ: ჩეხეთი +59%, ლატვია +46%, გაერთიანებული სამეფო +31%, ნიდერლანდები +28% ლიტვა +16%და სხვა. განსაკუთრებული ზრდა აღირიცხა შემდეგი ქვეყნები-

დან ქუვეითი +131%, საუდის არაბეთი +127%, ირანი +92%, ისრაელი +77%, ინდოეთი +48%, თურქეთი +20% და სხვა.

ღვინის ექსპორტი კი 18 პრცენტით გაიზარდა

გარეშე და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2018 წლის იანვარში, საქართველოდან, მსოფლიოს 24 ქვეყანაში 5,12 მლნ ბოთლის (0,75 ლ) ექსპორტი განხორციელდა, რაც 18%-ით აღემატება 2017 წლის ამავე პერიოდის მანქანებზე. სულ ექსპორტირებულია 11,4 მლნ-მდე აშშ დოლარის ღირებულების ღვინო, ზრდამ გასული წლის ანალოგიურ მანქანებელთან შედარებით 31% შეადგინა.

ექსპორტის მატება აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: ყაზახეთი, პონგ-კონგი, იაპონია, ლატვია, უკრაინა, რუსეთი, პოლონეთი, ისრაელი, ნიდერლანდები და სხვა. ექსპორტიორი ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი (3 534 780), უკრაინა (624 030), ჩინეთი (250 238), ყაზახეთი (220 776) და პოლონეთი (177 018). წლის დასაწყისში სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 70-მდე კომპანიამ განახორციელა.

ბრაჰო, თედო ჯაფარიძე!!!



წმირ პირადული: არასოდეს დამიმალავს ჩემი დიდი სიმპათიები და მეგობრობა თედო ჯაფარიძესთან. ალბათ, ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის ეს ურთიერთობა. ჰოდა, ღმერთმა დააჯილდოვა ნიჭით და უნარით. ბევრი მისი პუბლიკაცია უაღრესად საინტერესოა. ყოველთვის მიხაროდა მისი გამორჩეულად განხონასწორებული(!!!) ტონი, ანალიზის სიღრმე, წარსულის ჩინებული ცოდნა და შორსმჭვრეტელობა. მაგრამ, ამ გაბედულმა და უაღრესად საინტერესო ხედვებით დახუნძლულმა წერილმა (რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მისი პირადული(!!!) მოსაზრებებით არის გაფლენილი და, აშკარად ჩანს, რომ ავტორს არ ზღუდავს თანამედრობობრივი და დიპლომატიური „მუხრუჭები“), ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მგონია, რომ ეს ნაშრომი არა მარტო უკეთესია მის ნაწერებში, არამედ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერიოდში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში ყველაზე თვალსაჩინოა.

ახლა სხვა: ის რომ ჩრდილოელი მეზობლის ოფიციალური არცთუ „სასიამოვნო“ და დამაფიქრებელი ეს წერილი გამოქვეყნდა განსაკუთრებული დატვირთვის მქონე რუსულ ჟურნალში, მეტყველებს მისი რედაქტორის არა მარტო გონიერებაზე, არამედ... გაბედულებაზეც! ამ დასკვნამდე ის კომენტარებიც მიგიყვანს, რომლებიც...

მოჰყვა საიტზე მის გამოქვეყნებას. ამ ჟურნალის რედაქტორატის ეს პოზიცია იმაზეც მიანიშნებს, რომ ისინი არა მარტო პატივს სცემენ ავტორს და მის ნააზრევს, არამედ აფიქრებ(!!!) პრობლემა და ცდილობენ, პოლიტიკურ ელიტამდე მიიტანონ განსხვავებული, ახლებური, ორიგინალური აზრი, რომელიც გამოთქმულია არა მარტო გამოცდილი, საკითხის ღრმა ცოდნით „შეიარაღებული“ ანგარიშგასანვივი პოლიტიკოსის მხრიდან, არამედ არამეტრული, მეგობრობის მოსურნე მეზობლის მიერ.

ამ მხრივ, ამ გაველნიანი ჟურნალის მესვეურთა პოზიცია პატივისცემას იმსახურებს. შოთა ნიშნიანიძის არ იყოს, „მოდო, იმ მონღოლს გაუმარჯოს, ვაჟკაცობის უებრო მცოდნეს!“


ერთი სიტყვით, დროში კი დაემთხვა (ალბათ, უნებლიეთ), მაგრამ „ვინმეს“ უნდა ეთქვა კარასინის საპირწონედ „რალაჲ“ და... ითქვა. წონიანად, საკადრისად, დამაფიქრებლად, ღირსეულად!!!

...ეს ორი დღეა, ჩვენს ელიტაში (და ჟურნალის „იქაურ“ მკითხველთა შორისაც) ვნებათაღელვება... აზრთა სხვაობა... ზარი არ წყდება ჩემთანაც. უამრავ მომწონებელთა პარალელურად, ერთეულებს „გარეკილი“ აქვთ ბოდეამდე მისული, „სიბრძნეებით“... ღიმილის მომგვრელია, რომ ყველაზე მეტად ისინი, განსაკუთრებით „ახლადგამოჩვევით“ ცნობადი თუ არაღაცნალები მორალური უფლება აქვს. მათ ჰგონიათ, თანამედრობრივი სტატუსი ჭკუა-გონების ადეკვატურობას გულისხმობს. მათთვის მაინცდამაინც ღირებული არ გახლავთ ისეთი ფასეულობა, რომელსაც ჰქვია... გამოცდილება!!! ასეთი არაერთი „ნარცისი“ ვიცი, რომელიც, უბრალოდ, გასაკვირია, როგორ მოხვდა „იქ“, საიდანაც თავს დამოძღვრის უფლებას აძლევს...

მავანს („იქაც“ და „აქაც“) მიაჩნია, რომ:
– ქართველებმა ჭკუა ვერ ვისწავლეთ...
– რომ ასეთი წერილის გამოქვეყნების დრო ახლა არ იყო... (არგუმენტებისთვის თავს არ იწუხებენ)...
– ზოგადასაც ბოდავს, ხომ არ მიაყენა ქვეყანას ზიანი ავტორის ასეთმა (ანუ, ხისტიმა) პოზიციათა... არადა, ასე პირდაპირობით და ასეთი დიდი ტაქტიკით გაზავებული მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი მიდგომის მაგალითი, მით უმეტეს, გამოქვეყნებული ელიტარულ და ერთობ გაველნიან რუსულ თუ სხვა უცხოურ ჟურნალსა თუ გაზეთში, ეგება, მოგვიყვანოს ვინმემ... კარგ მთქმელს ხართ თუ არა, ადეკვატური გამგები სჭირდება. „ადეკვატურობის“ დეფინიციტი კი, სამწუხაროდ, აშკარაა ჩვენი...
ჰოდა, სწორედ ამ ვითარებას შეესაბამება ერთი ფრანგული კომედიის გმირის რეპლიკა, რომელიც სწორედ ახლა გამახსენდა: „ლეონ, ვიმეორებ გონებაშეზღუდულთათვის!“ დიხს, ეს წერილი განკუთვნილია „იქაც“ და „აქაც“ პოლიტიკაში მრავლად მოტივიტივი „ლეონისთვის“...
ჩემი აზრით, ქართულმა დიპლომატიამ (ჩვენი საელჩოების სახით) კი მიიღო შესანიშნავი მასალა, რომელსაც წარმატებით გამოიყენებს ნებისმიერ დისკუსიაში, ნებისმიერ დონეზე, რა თქმა უნდა, თუ ამის სურვილი ექნება „ნარცისთა“ გუნდს.

პრემიერ კვირიკაშვილს კი ეკუთვნის ქება იმისთვის, რომ ქმნის ატმოსფეროს, როცა მის გარემოცვას უჩნდება ასეთი შემოქმედების სურვილი და არაერთი „ლეონის“ კუდაბიკობის მიუხედავად, გაბედულად განახორციელებს მას.
მართლაც ბრავო, ჯაფარიძე!!!
ახლა კი გთავაზობთ სტატიის ქართულ თარგმანს. ორიგინალი იხილეთ ჟურნალის საიტზე.

ნუზარ ფოფხაძე



შურნალის მიერ გამოტანილი რეზიუმე: რუსი სამხედროების მიერ შუაგულ საქართველოში გავრცელებული ვავიულებრივად, რომელთაც სისხლით სლივან ჩვიშტარცის ადაამინსკი ურთიერთობებს და 21-ე საუკუნის ბარონებსა და ენინაღმედაგინს, საქართველოში რუსეთის პოლიტიკის სიგაოლოდ იცხა.
თავს უფლებას ვაძლევ, გაგიზიაროთ მოსაზრებები რუსეთისა და საქართველოს შორის რთული, დაძაბული, ემოციური ურთიერთობების შესახებ, დღევანდელი რეგიონული და გლობალური პრობლემების კონტექსტში, და მინდა საზგასამით აღვნიშნო, რომ ეს ჩემი პირადი შეხედულებაა. ნამდვილად არანაირი პრეტენზია არ მაქვს, რომ ეს საბოლოო ინსტანციის შემადგენელია, უბრალოდ, ამის გაკეთება გავრისკე ჩემი ხანგრძლივი პოლიტიკური და დიპლომატიური გამოცდილების გათვალისწინებით. იქნებოდა ეს აშშ-ში საქართველოს ელჩის, უმიშროების საბჭოს მდივნის, საგარეო საქმეთა მინისტრის, პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის თუ პრემიერ-მინისტრის მრჩეველის თანამდებობა, ამ თემას გამომდებელი ვანყადებოდა და ვანყებები ჩემს ყოველდღიურ საქმიანობაში. ამ თემაზე დანერვილებით ვსჯელობთ კოლეგებთან შინ და ქვეყნის გარეთ; ვციდილობთ, გავანალიზოთ და კარგად გავერკვეთ მასში. თუმცა, ვაღიარებ: დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობაში კითხვები კვლავაც გაცილებით მეტია, ვიდრე პასუხები და ყველა მათგანი მწვავე, ხისტი, უფრო ხშირად კი, მძიმე და თვით სასტიკია.
წელს ტრაგიკული მოვლენის წლისთავი აღინიშნება – ათი წელი რუსეთ-საქართველოს ომიდან, რომელსაც აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის (სამხრეთ ოსეთი) ოკუპაცია და რუსეთის მხრიდან მათი აღიარება მოჰყვა. ამ დროის მანძილზე ჩვენმა ქვეყნებმა არა მარტო ვერ შეძლეს საერთო შეხების წერტილის გამოხსნა, არამედ მენტალურად კიდევ უფრო დაშორდნენ ერთმანეთს. მაგრამ მენტალობა არ შლის გეოგ-



რაფიულ მეზობლობას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენ, ჩვენი პასუხისმგებლობით მომავალი თაობების წინაშე, უნდა შევეცადოთ და შეხების წერტილები გამოვნახოთ იქ, სადაც ეს შესაძლებელია, და სადაც ეს სასარგებლო და ხელსაყრელი იქნება არა მარტო ჩვენი ქვეყნების, არამედ ევრაზიის რეგიონისთვისაც. პოზიტიური დინამიკით დაინტერესებული არიან, და ამდენად მის შექმნაში უნდა ჩაერთონ სხვა ქვეყნებიც – აშშ, ევროპის სახელმწიფოები, ჩინეთი, ინდოეთი. უსაფრთხოება, სტაბილურობა, ეკონომიკური თანამშრომლობა, ისევე როგორც დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი, ერთმანეთთან მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას შიამა. ასეა მონყობილი თანამედროვე მსოფლიო – სახელმწიფოები, მათი სიდიდისა თუ სამხედრო ძლიერების მიუხედავად, უნდა იყვნენ საჭირო და პროგნოზირებადი. სამხედრო ძალით შეიძლება მხოლოდ მოკლევადიან წარმატებას მიადნო, დააშინო, მაგრამ ამ დივიდენდებს ხანგრძლივი დროით ვერ მიიღებ.
სწორედ ამიტომ, დღეს საქართველოს შეთავაზებაა ის სხვა ოპტიკით განიხილოთ – პოზიტიური რეგიონული თანამშრომლობის ქრილში (რასაკვირველია, ეს არ გულისხმობს საკუთარი პრობლემების დაწინაურებას და სტრატეგიული მიზნების უგულებელყოფას). მიგვაჩნია, რომ ეკონომიკა, ვაჭრობა, ერთობლივი ინფრასტრუქტურული პრო-

საქართველოს განსხვავებული ოპტიკა

ექტები – შესაძლოა, ამის ერთ-ერთი საწყის წერტილად იქცეს. თავად რუსეთისთვისაც გაცილებით მომგებიანია, საქართველოში განათავსოს ბანკები და არა ტანკები. ორივე მათგანის ერთმანეთთან შეთავსება კი კონტრპროდუქტიულია.
ჩვენ პრაგმატულად ვუყურებთ ვითარებას და კარგად გვესმის, რომ აშშ-ს, ევროპას, მთლიანად დასავლეთსა და რუსეთს ერთმანეთი სჭირდება, საკუთარი უსაფრთხოებისა და გლობალური სტაბილურობის შესანარჩუნებლად. თუმცა, დიდი, ძლიერ-მოსილი სახელმწიფოებიც ვერ იგრძნობენ თავს სრულიად უსაფრთხოდ, პატარა მეზობლების შესუსტების ხარჯზე. ამ სტრატეგიულ ძალთა განლაგებაში საქართველოს შეუძლია, და უნდა ჰქონდეს კიდევ, თავისი ადგილი, საკუთარი ნიშა. ჯერ კიდევ გასულ წელს, აშშ სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა, რომელსაც მისი ადრინდელი საქმიანობიდან გამომდინარე, კარგად ესმის ჩვენი რეგიონის მნიშვნელობა, განაცხადა: „აშშ-ის მოკავშირეები და პარტნიორები, დიდი თუ მცირე, ვაშინგტონისაგან რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესებას ითხოვენ, რადგან დარწმუნებული არიან, რომ ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის ცუდი ურთიერთობები მათ მდგომარეობას გააუარესებს“. დრო გადის, მოლოდინები ჯერჯერობით არ გამართლებულა, მაგრამ არც საქართველოს, პოლიტიკური ღირებულება“ შემცირებულა, შესაძლოა პირიქითაც, კიდევ უფრო გაიზარდა.
დღევანდელი მყიფე წონასწორობა მართვადი უნდა იყოს. ეს კი რთუ-

ლი საქმეა, რადგან ჩვენს დროში ყველა თავისებურად, საკუთარი ინტერესების ქრილში ახდენს ამ სტაბილურობის კომპონენტთა ინტერპრეტირებას. ამგვარი „რუსული ინტერპრეტაცია“ საკუთარ თავზე საქართველომ 2008 წელს, უკრაინამ კი 2014 წელს გამოსცა. სწორედ ამიტომ, ჩვენ ისე როგორც არავის, კარგად გვესმის, რომ რაც უფრო გამჭვირვალე, გასაგებები და პროგნოზირებადია დასავლეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობა, მით უფრო იოლი და ეფექტური ხდება საქართველოს და, ზოგადად, რეგიონული დღის წესრიგის განხილვა. ამის გათვალისწინებით, მსოფლიო საზოგადოებას კარგად ესმის, რომ საქართველო არ გადაუხვევს მისი ხალხის მიერ არჩეულ გზას, უარს არ იტყვის სტრატეგიული მიზნებზე და არავითარ შემთხვევაში დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში „გასაცვლელ პაიკად“ არ იქცევა.
გაურკვეველობის პერიოდის გაგრძელება ახალ კატაკლიზმებსა და კრიზისებს გამოიწვევს. კოორდინატების ამჟამინდელი პოლიტიკური სისტემა მშფოთვრად პერიოდში, ახალი და მწვავე გამოწვევების ფონზე ყალიბდება. ეს მთავარი მონაწილეებისგან განხონასწორებული, მოზომილი საგარეო პოლიტიკის გატარებასა და საერთაშორისო ურთიერთობების მთელი კომპლექსის სიფრთხილით მართვას მოითხოვს. თბილისში გვეყრება, რომ დღევანდელი საქართველო, რომელიც მტკიცედ დამკვიდრდა თავი არა მხოლოდ როგორც რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მომხმარებლად, არამედ მის მიმწოდებლადც

(არა მარტო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ ფართო გაგებითაც), ფუნქციონალურად ჩამოყალიბდა, როგორც სანდო და პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მეგობრებსა და მეზობლებს გამოადგება. მოდით, ასე ვთქვათ: დღეს საქართველო უკვე თავსატეხი და თავის ტკივილი კი აღარ არის, არამედ, კომპონენტია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და ყველასათვის მომგებიანი შედეგების მისაღწევად.
დამიჯერეთ, ძალიან რთულია, არ იქცეოთ თავის ტკივილად იმ რეჟიმში, რომელშიც დღეს ცხოვრობს და თავის გატანას ცდილობს საქართველო. საქართველოს სტაბილურობა და პროგრესი, რომელსაც უცხოელი მიმომხილველები ხშირად აღნიშნავენ, ქართველი პოლიტიკოსების მრავალი თაობის ტიტანური ძალისხმევითა და შედეგების მისაღწევად.
დაამიჯერეთ, ძალიან რთულია, არ იქცეოთ თავის ტკივილად იმ რეჟიმში, რომელშიც დღეს ცხოვრობს და თავის გატანას ცდილობს საქართველო. საქართველოს სტაბილურობა და პროგრესი, რომელსაც უცხოელი მიმომხილველები ხშირად აღნიშნავენ, ქართველი პოლიტიკოსების მრავალი თაობის ტიტანური ძალისხმევითა და შედეგების მისაღწევად.
დასავლეთმა არ უნდა ირწმუნოს რუსეთის განცხადებები იმის თაობაზე, რომ თითქოს „საქართველოს საკითხი“ მოხსნილია და საქართველომ თავად უნდა მოილაპარაკოს აფხა-

ზებთან და ოსებთან. ჩვენ სომეხების შინაგად ვიცით, თუ ვის ხელშია ამ კონფლიქტების მოგვარების გასაღები, ისევე, როგორც ამ ტერიტორიებზე „სტაბილურობის“ (რუსული ინტერპრეტაციით) შენარჩუნება, რომელიც რუსულ სამხედრო ბაზებზე და ძალოვან სტრუქტურებს ემყარება. მაშინ, როდესაც, კიდევ ერთხელ ვიტყვი, საქართველო შეიძლება იქცეს დასავლეთსა (კონგრეტულად ამერიკის) და რუსეთს შორის ურთიერთობების პოზიტიურ კომპონენტად, იცოს ამ საკითხში თუნდაც მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი და გამომწვევი დეტალი.

2008 წლის დამანგრეველი ომიდან თითქმის 10 წლის შემდეგ, რუსეთის ყველა, სამხედრო და უსრულებელი მცდელობის ფონზე, პოლიტიკურად შეაკვაოს საქართველოს სწრაფი დასავლეთისაკენ, მტკიცედ შეიძლება იმის თქმა, რომ ქვეყანამ სახელმწიფოებრიობისთვის გამოცდა ღირსეულად ჩააბარა (სხვათა შორის, ნელს, მაისში საქართველო პირველი დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან მე-100 წლის თავს აღნიშნავს). საქართველოს წარმატებას მისი ყველა პარტნიორი აღიარებს: აშშ, რომლის პრეზიდენტთან და სხვა ლიდერთან შერშან პრემიერ-მინისტრმა აქტიური მოლაპარაკებები გამართა (მომავალ წელს ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის გაფორმებიდან მე-10 წლისთავი შესრულდება); თურქეთი, რომელთანაც უმაღლეს დონეზე სტრატეგიული თანამშრომლობის საბჭო შექმნილი; ჩინეთი, რომელმაც ჩვენთან თავის უფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება მოაწერა ხელი და ა.შ. საერთაშორისო ვითარება გვიჩვენებს, რომ მხოლოდ საქართველოსთვის ევროპულ და ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში ინტეგრირება ერთადერთი შესაძლებლობა ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და თანმიმდევრული საგარეო კურსის გასატარებლად.

ჩვენი რაციონალური პოლიტიკა შერშან, წლის ბოლოს, ერთსულენად იქნა მხარდაჭერილი „დასავლეთ პარტნიორობის“ სამიტზე – საქართველო ერთმნიშვნელოვნად არის აღიარებული ევროკავშირის ამ პროგრამის მიერ, როგორც ლიდერი რეფორმებისა და მოდერნიზაციის. დღეს უკვე აღარ ვართ „პოს-სტაბილურობის“ ქვეყანა. ამასთან, კარგად გვხვს, რომ განვითარების გზაზე შეჩერება არ შეიძლება. ერთადგილზე გაჩერება თანამედროვე მსოფლიოსა და, ასევე, გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, საქართველოსათვის ორი ნაბიჯით უკან დახვევის ტოლფასი იქნება.

დაახ, დღეს სრულიად საფუძვლიანად შეგვიძლია შემოგვავაზოთ, რომ ჩვენი ქვეყანა სხვა ოპტიკით იქნას განხილული. და ეს რას ნიშნავს?

საპარტიული მტკიცედ აღიკავა თავისი ნიშნის იხით გარეაღიარებული მნიშვნელობის პროექტები, რომლისგანაც ახალი „აბრაშოვის გზის“ იდეის რეალიზაცია, აღმოსავლეთითა და დასავლეთითაა ენერგომომართობის მხარდაჭერის ზრდა, აზიასა და ევროპას შორის სარკინიგზო მარშრუტის მშენებლობა და ა.შ. 2020 წლამდე საპარტიული ინფრასტრუქტურულ პროექტებში 5 მილიარდი დოლარის ინვესტიცია ჩაიდება. რამდენიმე წელიწადში შავი ზღვის ახალი ურთიერთობის გაღრმავება

დრამატიკული პორტი – ანაკლია უნდა იქნას. იმიტომ რომ უნდა აღიარდეს საზღვაო კონტინენტის მთავარი პარტი, და ამით საბრუნავო ბაზისი და დამაკავშირებელი გახდეს მთელს კავშირს შიდა მარშრუტის დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის. უნდა აღიარდეს იმის მნიშვნელობა, რომ იმის მიხედვით, რა არის მომართული – თანამედროვე მსოფლიოში ანტიგლობალიზმი არ მუშაობს ან თუ მუშაობს, ძალიან მცირე დროით.

რასაკვირველია, ჩვენი ეროვნული ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, საერთაშორისო სამართლის ნორმების და ფუქციონირების პრინციპების გათვალისწინებით, დემოკრატიული და უსაფრთხო მეზობლის ყოლა რუსეთის სტრატეგიულ ინტერესებშია შედის. ჩვენ მზად ვართ, საიმედო და პასუხისმგებლობის გრძობის მქონე

რება, მაშინ, საქართველოსთან მიმართებაში მან მარცხი განიცადა. თუ ისევე „ან ჩვენს გვერდით ან ჩვენს წინააღმდეგ“ პრინციპზე ვისაუბრებთ, მაშინ ჩვენი თანამეგობრული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც მათთვის უსაფრთხო მდებარეობის მიხედვით არის განთავსებული, მაგალითად, როგორც ეს სოჭის ოლიმპიადის დასაწყისში მოხდა. მასხენდება, რომ მოსკოვმა და ვარშავამ რამდენიმე წლის წინათ სპეციალისტთა ერთობლივი ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რომლებიც რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის ყველაზე „რთულ საკითხებზე“ მუშაობდნენ. ჩვენს შეიძლება ვიფიქროთ მოსკოვსა და თბილისს შორის ამგვარ პატიოსან, ობიექტურ და თანასწორუფლებიან საექსპერტო ანალიზს შექმნის შესაძლებლობაზე.

მეგრამ ჯერჯერობით, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენ ვერ ვერ ვხედავთ არ ვიცით, რას სურს ჩვენთან რუსეთს. ან შესაძლოა, ეს რუსული „სურვილები“ ურთიერთმინამდევრობითაა და ჩვენს და, იქნებ თავად რუსეთის, სტრატეგიულ ინტერესებსაც არ შეესაბამება. მოდით, ვთქვათ: ნუთუ რუსეთს ნამდვილად ანეკობს პოლიტიკას ვერ დაავარქმევთ? მაშინ, რაში მდგომარეობს თანაარსებობის მოდელი, რომელსაც რუსეთი გვთავაზობს (თუკი გვთავაზობს)? ამას „ტყვილი კვერისა და მათრახის“ პოლიტიკას ვერ დავარქმევთ. ეს არის მხოლოდ მათრახი, მათრახი და, კიდევ ერთხელ, მათრახი.

ჩვენ რუსეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას ვეძრებით, თუმცა არ გვსურს რუსეთის მხრიდან ინტეგრირების წინადადება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენ ვერ ვერ ვხედავთ არ ვიცით, რას სურს ჩვენთან რუსეთს.


დღევანდელი საქართველო, რომელმაც მტკიცედ დაიმკვიდრა თავი არა მხოლოდ როგორც რეგიონული უსაფრთხოებისა და სტაბილურობის მომხმარებელი, არამედ მის მიმწოდებლადაც (არა მარგო სამხედრო თვალსაზრისით, არამედ ფართო გაგებითაც), ფუნქციონალურად ჩამოყალიბდა, როგორც სანდო და პასუხისმგებლობის მქონე პარტნიორი, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, მეგობრებსა და მეზობლებს გამოადგება. მოდით, ასე ვთქვათ: დღეს საქართველო უკვე თავსაკები და თავის ტკივილი კი აღარ არის, არამედ, კომპონენტია კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტისა და ყველასათვის მომგებიანი შედეგების მისაღწევად.

ტრანსპორტი ძირითადად უცვლელის ამ რეგიონს. დღევანდელი პოლიტიკის დინამიკა, რომელიც ახალი ეკონომიკის საფუძვლავს იფარავს, თავისი სისტემის ფორმირების პროცესში საბარტოვალის ჩართვას მოითხოვს და, ასევე რუსეთისა, რასაკვირველია.

საქართველოს მიმართ კონსოლიდირებული პარტნიორული მხარდაჭერის ფონზე, სამხედრო, ვაჭრობის ფონზე, მხოლოდ რუსეთის პოზიცია განსხვავებული. სამხედრო, რომ საქართველოში (და განა მართ საქართველოში?) რუსეთისგან კარგს არაფერს მოელოან. რუსეთი არ იზიდავს და არ ხიბლავს; რუსეთი აზინებს. რუსი სამხედროების მიერ საქართველოს შუაგულში გავლებული მავთულხლართები, რომლებიც სისხლით ხლეჩენ ჩვეულებრივ ადამიანურ ურთიერთობებს და 21-ე საუკუნის აზროვნებას ეწინააღმდეგებიან, საქართველოში რუსეთის პოლიტიკის სიმბოლოა იქცა. ნებისმიერი, იმ მილიონზე მეტი რუსი ტურისტისგან, რომლებიც ყოველწლიურად სტუმრობს საქართველოს (და ეს იმ პირობებში, როდესაც ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები განყვეტილია), დაგვეთანხმება, რომ ასე არ უნდა ხდებოდეს.

თუ ეს მავთულხლართები რუსეთის „გაყავი და იბატონე“ პოლიტიკის ინსტრუმენტად მოიაზრება, მაშინ, საქართველოსთან მიმართებაში მან მარცხი განიცადა. თუ ისევე „ან ჩვენს გვერდით ან ჩვენს წინააღმდეგ“ პრინციპზე ვისაუბრებთ, მაშინ ჩვენი თანამეგობრული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში, რომლებიც მათთვის უსაფრთხო მდებარეობის მიხედვით არის განთავსებული, მაგალითად, როგორც ეს სოჭის ოლიმპიადის დასაწყისში მოხდა. მასხენდება, რომ მოსკოვმა და ვარშავამ რამდენიმე წლის წინათ სპეციალისტთა ერთობლივი ჯგუფი ჩამოაყალიბეს, რომლებიც რუსეთ-პოლონეთის ურთიერთობის ყველაზე „რთულ საკითხებზე“ მუშაობდნენ. ჩვენს შეიძლება ვიფიქროთ მოსკოვსა და თბილისს შორის ამგვარ პატიოსან, ობიექტურ და თანასწორუფლებიან საექსპერტო ანალიზს შექმნის შესაძლებლობაზე.

მეგრამ ჯერჯერობით, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენ ვერ ვერ ვხედავთ არ ვიცით, რას სურს ჩვენთან რუსეთს.



სეთს. ან შესაძლოა, ეს რუსული „სურვილები“ ურთიერთმინამდევრობითაა და ჩვენს და, იქნებ თავად რუსეთის, სტრატეგიულ ინტერესებსაც არ შეესაბამება. მოდით, ვთქვათ: ნუთუ რუსეთს ნამდვილად ანეკობს პოლიტიკას ვერ დაავარქმევთ? მაშინ, რაში მდგომარეობს თანაარსებობის მოდელი, რომელსაც რუსეთი გვთავაზობს (თუკი გვთავაზობს)? ამას „ტყვილი კვერისა და მათრახის“ პოლიტიკას ვერ დავარქმევთ. ეს არის მხოლოდ მათრახი, მათრახი და, კიდევ ერთხელ, მათრახი.

ჩვენ რუსეთთან მშვიდობიან თანაცხოვრებას ვეძრებით, თუმცა არ გვსურს რუსეთის მხრიდან ინტეგრირების წინადადება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რუსეთის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან, ჩვენ ვერ ვერ ვხედავთ არ ვიცით, რას სურს ჩვენთან რუსეთს.

დაპირი დიალოგი ვანარმოთ „ახალ სახელმწიფოებთან“. მაგრამ ეს გზა არსაით მიდის. ჩვენ არ ვენი-ნალმდეგებით პირდაპირ დიალოგს ჩვენს თანამოქალაქებთან – აფხაზეთთან და ოსებთან – მაგრამ მათზე ზეწოლას არ უნდა ახდენდეს რუსული სამხედრო ძალა. მზად ვართ, უარი ვთქვათ კლიშეს მატარებელ მდგომებზე, მზად ვართ, ვიფიქროთ ახალ მოდელზე, შევისწავლოთ ამ მიმართულებით არსებული წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ხელშეუხებლობის დაცვით, მზად ვართ, განვიხილოთ შემოქმედებით, ახლგაზრდა მდგომები. და თუკი რუსეთს მეზობლებთან არა აქვს დარეგულირებული ურთიერთობა, როგორ უნდა ვისაუბროთ ზოგადად სტაბილურობაზე? რუსეთის სტაბილურობა ხომ შეუძლებელია კავკასიაში მშვიდობის გარეშე.

ამ ყველაფერზე მხოლოდ თბილისში არ უნდა ფიქრობდნენ. დადგა დრო, ეს მოსკოვიც გააცნობიერონ, მით უფრო, რომ დღეს არსებობს კომპლექსური გადაწყვეტილებების მიღწევის შესაძლებლობა, დასავლეთსა და საქართველოს, რუსეთსა და დასავლეთს, საქართველოსა და რუსეთს შორის დიალოგის გზით. შეუძლებელია არ არსებობდეს ურთიერთშეხების წერტილები ახალი, სტაბილური და უსაფრთხო სისტემის მშენებლობის პროცესში.

დავოსის ბოლო ფორუმზე საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვიციანი შეიძლება ისაუბროს რუსეთთან ურთიერთშეხების წერტილების მოძიების აუცილებლობაზე, რომელმაც სამოციანელ წელში საქალაქო, სტიმული მისცეს პოზიტიურ დისკუსიასა და კონფლიქტების პოლიტიკურ გადაწყვეტას. საერთო ინტერესების ამგვარი სფერო შეიძლება იყოს ვაჭრობა, ტურიზმი, ჰუმანიტარული და კულტურული ურთიერთობა. მაგრამ, იმავდროულად, პრემიერმა განაცხადა, რომ რუსეთთან უნდა განხორციელდეს ურთიერთობის მისაღწევად, რომ ფუჭია რუსეთის მოლოდინი, რომ საქართველო ოდესმე შეეგუება იმ „არსებულ რეალობას“, რომლისადაც რუსეთი წარმოაჩენს ამჟამინდელ ვითარებას. ამგვარად, მომავალში ყველა დისკუსიის ძირითადი ქვაკუთხედი საქართველოს სუვერენული სწრაფვა იქნება.

რა მოიპოვა რუსეთთან საბარტოვალის დაბარებით? ვერაფერი! უფრო გააქტიურდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში სამხედრო ბაზების განთავსებით? არა. პოლიტიკურად და დიალოგიურად ზიანისა, რაც ამ ფაქტით რუსეთს მიუღება, მისი „გაგაფართობა“, „მირისის გამარჯვება“ აქცია. ჩვენ ნატოს წევრები არ ვართ, მაგრამ ჩვენი „პეზუნთა მუსილი“ ჩვენს სტაბილურობაში, პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებაში, ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში, მსოფლიოში მათრახის რეგულირებაში, ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფაში – პარტნიორების დახმარებითა და მხარდაჭერით. დარწმუნებული ვარ, რომ კლიმინი, რეფორმირებული, სტაბილური საპარტოვალ რუსეთის ინტერესებშია.

თილო ჯავახიძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი საგარეო ურთიერთობების საკითხებში

საგულისხმო აგბები ალბერტ აინშტაინის მონაწილეობით

პაქეზა აინშტაინი

როცა დედა როიალთან იჯდა და უკრავდა, ხუთი წლის ენაძვირი ალბერტი გულსიყურით უსმენდა.

— ალბერტ, წადი ბალში და ირბინე, — უთხრა დედამ.

ალბერტს ბალში სირბილი არ უნდოდა, ბეთშოვენს უსმენდა.

— ასეთი მოთმინების პატრონი ან მუსიკოსი გამოვა, ან მესაათე! — გაიხუმრა მეზობელმა, — ალბერტ, რას ფიქრობ, როცა გაიზრდები, რა უნდა გამოხვიდე? ალბერტისგან პასუხის მიღება ძნელი იყო, რადგან ლაპარაკი გვიან დაიწყო.

— არა უშავს რა, ალბერტ, ყველა პროფესორი ვერ გახდება, — გაამხნევა ბიძა იაკობმა.

მოხსენებლის სიძველე

ერთხელ ალბერტი აინშტაინი მოხსენებას კითხულობდა ერთ-ერთ სამეცნიერო კონფერენციაზე, რომლის დამთავრების შემდეგ კონფერენციის მესვეურთა მეცნიერს კითხეს, კონფერენციის რა მომენტი იყო თქვენთვის ყველაზე რთული.

აინშტაინის დიდახანს არ უფიქრია, ეგრეთვე მიუგო: „ყველაზე დიდი სიძველე ის იყო, რომ აუდიტორიის გაღვიძება გახდა საჭირო, აუდიტორიას კი მაშინ ჩაეძინა, როცა თავმჯდომარე გამოვიდა და ჩემი თავი წარუდგინა მსმენელთ“.

აინშტაინი და რაკლი ჩაპლინი

ერთხელ (პოლიგუდის გაფურჩქვნის ხანაში), ჩაპლინი აინშტაინი თავისი ფილმის „დიდი ქალაქის ჩირაღდნების“ გალა-გასინჯვაზე მიიწვია. მოულოდნელად უამრავი ხალხი მიანყდა ლიმუზინს, რათა ორივე დიდი ადამიანი ენახათ. აინშტაინი გაკვირვებული მიუბრუნდა ჩაპლინს და ჰკითხა: „რას ნიშნავს ეს ყველაფერი?“ — რაზეც ბრძენმა ჩაპლინმა ნაღვლიანად უპასუხა: „სამწუხაროდ, არც არაფერს“.



აინშტაინი და ვაჭივილი

აინშტაინის ათი წლის ვაჭივილი მამასთან მივიდა და ჰკითხა:

— მამა, რატომ ხარ ასეთი სახელგანთქმული?

აინშტაინმა გაიცინა, ცოტა ხანს დაფიქრდა და უპასუხა:

— იცი რა, როცა ბრმა ხოჭო მიცოცავს ბუშტის ზედაპირზე, ის ვერ ამჩნევს, რომ გზა, რომელიც მან გაიარა, გაღწეულია, მე კი ეს დროულად შევამჩნიე.

ყველა სიძველე შეფარდაბითია

1943 წელს ვაშინგტონელმა მოსწავლემ გოგონამ ალბერტი აინშტაინს შესჩივლა, მათემატიკის სწავლა მიძნელებდა და იძულებული ვარ, სხვებზე მეტი ვიმეცადინო, რათა თანატოლებს არ ჩამოვრჩეო. აინშტაინმა მცირე ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა: „გულს ნუ გაიტყვობ, დამიჯერეთ, რომ სიძველეთი თქვენ ჩემი უნდა იკითხოთ“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №14-22

აინშტაინის ღიალი ახრები

ერთხელ ჟურნალისტი აინშტაინს უბის წიგნაკითხა და ფანქარმომარჯვებული მიადგა:

— ბლოკნოტი ან უბის წიგნაკი თუ გაქვთ, სადაც თქვენ დაიდ აზრებს იწერთ?

აინშტაინმა შეხედა ჭაბუკ ჟურნალისტს და უთხრა:


— ჭაბუკო, იცით თუ არა, რომ ნამდვილად დაიდი აზრები თავში უკიდურესად იშვიათად ჩნდებიან, ამიტომ იმათი დამახსოვრება არც ისე ძნელია.

გალუფონის ნობელი

ერთხელ ნაცნობმა მანდილოსანმა აინშტაინს სთხოვა, საღამოს აუცილებლად დამირეკეო, და თანაც გააფრთხილა, —

ასე ამბობდა აინშტაინი

რუსული ტექსტი ქართულად გადმოაქვს გურამ გოგიაშვილმა



ჩემი ნომრის დამახსოვრება არცთუ ადვილია „24-361. დაიხსომეთ? აბა, გაიმეორეთ“

აინშტაინს გულწრფელად გაუკვირდა:

„რასაკვირველია, დავიხსომე! ორი დეუჟინი და 19 კვადრატში“.

აინშტაინი და ჩაპლინის „ოქროსი სიუბ-სხელები“

აინშტაინს ჩაპლინის ფილმები ძალიან უყვარდა და დიდი პატივისცემით იყო განწყობილი თვითონ ჩაპლინისა და იმის პერსონაჟთა მიმართ. ერთხელ მან დეპიუა გაუგზავნა ჩაპლინს:

„თქვენი ფილმი „ოქროსი ციები-ცხელები“ ცნობილია და ყველასთვის გასაგებია მსოფლიოში. დარწმუნებული ვარ, თქვენ დიდი ადამიანი გახდებით! პატივისცემით — აინშტაინი“.

ჩაპლინმა ამ წერილის პასუხად მისწერა:

„მე კიდევ უფრო ალფრთოვანებული ვარ თქვენით. თქვენი ფარდობითობის თეორია არ ესმის მსოფლიოში პრაქტიკულად არავის, მაგრამ თქვენ მანინც დიდი მეცნიერი გახდით! ჩაპლინი“

ჟურნალისტი ქალი და აინშტაინი

ერთხელ ამერიკელმა ჟურნალისტმა ქალმა 1933 წლის ოქტომბერში აინშტაინს შეკითხვით მიმართა: „თქვენი აზრით, რა სხვაობაა დროსა და მარადიულობას შორის?“

მეცნიერს დიდახანს არ უფიქრია და გაღიმებულმა მიუგო: „მე რომ იმდენი დრო მქონდეს, რათა აგისნათ სხვაობა ამ ცნებათა შორის, მთელი მარადიულობა ჩაივლიდა, სანამ თქვენ ამას მიხვდებოდით“.

აინშტაინი და თანაგზავნი

ერთხელ მატარებელში მგზავრმა ვერ იცნო აინშტაინი და ჰკითხა, რა პროფესიისა ბრძანდებით? აინშტაინმა

ნაღვლიანად უპასუხა: მოდელი ვარ მხატვრებისთვის... ავტოგრაფების თხოვნით დალილიმა მეცნიერმა თავის მეგობარს შესჩივლა: „ავტოგრაფებზე ნადირობა კანიალიზმის ახალი გადმონაშთია, თუ ადრე ადამიანები თავიანთ მსგავსთ ჭამდნენ, დღეს მსხვერპლის შემცველი სიმბოლოებით კმაყოფილებდებიან“.

აინშტაინი და კოპულაცია

ერთხელ აინშტაინმა ნაღვლიანად დაიჩვილა იმის თაობაზე, რა ვიცი, ვინ არ მომმართავს როგორც სახელგანსმნილ მეცნიერს და თავისი აზრი შემდეგი სიტყვებით გაასრულა: „ჭაბუკობისას სულ იმის ოცნებაში ვიყავი, სადმე ჩემთვის მყუდროდ ვმჯდარიყავი, ჩემი

საქმე მეკეთებინა და არცვისი ყურადღება არ მიმეპყრო. არადა, ხომ ხედავთ, რა დღეშიც ვარ“

* * *

ფარდობითობის საერთო თეორია აინშტაინმა ჯერ კიდევ 1915 წელს დაასრულა, თუმცა მთელ მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი გახდა მხოლოდ 1919 წელს. თვითონ აინშტაინი თავის მსოფლიო დიდებას უკიდურესად მშვიდად აღიქვამდა და საშობაოდ ღია ბარათში თავის მეგობარს — პენის ზანგერს სწერდა:

„ეს დიდება ბევრად უფრო სულელს მხდის, ვიდრე ადრე ვიყავი. თუმცა, სავსებით ჩვეულებრივი ამბავია, რასაც შენს თავზე ფიქრობ და რასაც სხვები ფიქრობენ შენზე, ანდა ერთმანეთში ლაპარაკობენ, ამ ყველაფერს შუა უბის დიდი ზღვარი. მთავარია, რომ ეს ყოველივე ბოლმად არ გექცეს“.

აინშტაინი და კარლ ჯალიზი

აინშტაინის ერთ-ერთმა თვალაჩინო ბიოგრაფმა კარლ ჯალიზმა ერთხელ აინშტაინს კითხვით მიმართა: მეცნიერების ნიჭი მამისგან, ხოლო მუსიკის ნიჭი დედისგან ხომ არ გამოგყავო? აინშტაინმა უპასუხა: „მე არცრა ნიჭი მაქვს, მხოლოდ დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობით ვარ შეპყრობილი და, შესაბამისად, მეგვიდრეობის საკითხი აზრს კარგავს“.

აინშტაინი და ვიემა

ერთხელ აინშტაინი სტუმრად წავიდა, გზაში წვიმამ მოუსწრო. მეცნიერს შინ რომ ისტუმრებდნენ, მასპინძელმა შლაპა შესთავაზა, მაგრამ მეცნიერი დაეუარა:

„არა, ბატონო, რად მინდა შლაპა? მე ვიცოდი, რომ წვიმა მომისწრებდა და იმითმაც არ წამოვიღე ჩემი შლაპა. კარგად მოგეხსენებათ, რომ სველი შლაპა უფრო გვიან გაშრებოდა, ვიდრე ჩემი თმა“.

აინშტაინის „კოლეჯი“

ერთხელ აინშტაინი პრინსტონის კორიდორს მიუყვებოდა და საპირისპირო მხრიდან ახალგაზრდა უცნობი ფიზიკოსი მიაბიჯებდა. ერთმანეთს რომ მიუახლოვდნენ, ახალგაზრდა ფიზიკოსმა აინშტაინს შინაურულად მხარზე

ხელი დაჰკრა და მფარველურად ჰკითხა: — როგორ არის თქვენი საქმე, კოლეჯა?

— კოლეჯა? — კითხვა დაუბრუნა გაკვირვებულმა აინშტაინმა. — ნუთუ თქვენც ჩემსავით რევმატიზმი გაწუხებთ?

აინშტაინი თავის თავზე

1954 წელს აინშტაინი იგონებდა: „ჩემი მშობლები შენუხებულნი იყვნენ, რაკი ენა ძალიან გვიან ამოვიდგი. ის კი არა, ისინი ამის გამო სპეციალისტებთანაც კი დადიოდნენ საკონსულტაციოდ. ზუსტად ვერ ვიტყვი, რამდენი წლისა ვიყავი მაშინ, მაგრამ, ალბათ, სამზე პატარა ვიქნებოდი... რასაკვირველია, ჩემგან ორატორი ვერ დადგა. ჩემი შემდგომი განვითარება სახვებით ნორმალურად მიდიოდა, ერთი თავისებურების გამოკლებით — ჩვეულებრივ ჩურჩულით ვიმეორებდი ჩემს საკუთარ სიტყვებს“.

ბიოგრაფიის წინასიტყვაობა აინშტაინისგან

ერთხელ პოეტმა დანერა XIX საუკუნის მეცნიერის ბიოგრაფია და წინასიტყვაობის დაწერა აინშტაინს სთხოვა. პასუხი აინშტაინმა 1942 წელს მისწერა:

„ჩემის აზრით, ფართო პუბლიკისთვის დიდი მეცნიერის წარდგენის მხოლოდ ერთი ხერხი არსებობს: საყოველთაოდ გასაგები ენით განვიხილოთ და განვმარტოთ ის ამოცანები, რომლებსაც ის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე წყვეტდა, აგრეთვე როგორ წყვეტდა, რა გზებს მიმართავდა იმ ამოცანების ამოსახსნელად. როგორც ცნობილია, ეს ძალუძს მხოლოდ იმას, ვინც ღრმად იცნობს მასალას... ცხოვრების გარეგულ მხარეს და ადამიანების ურთიერთკავშირის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ. რა თქმა უნდა, წიგნი ყურადღება უნდა მიექცეს მეცნიერის პირად ცხოვრებასაც; მაგრამ ეს ძირითადი არ უნდა იყოს, მეტადრე თუ იმისი მეცნიერული მიღწევები არც ერთ სხვა იმის ნაშრომში არ არის ასახული. სხვაგვარად მივხდებით რაღაც ბანალურს: არა არსი ღრმა შეღწევას, არამედ გვირის მხოლოდ ემოციურ ტკბობას. ჩემს საკუთარ გამოცდილებას რომ ვაველე თვალს, ვრწმუნდები, რა საზიზღრობა და უაზრობაა, როცა სერიოზულად ადამიანს უყვიცი აქებენ და ადიდებენ.

ასეა თუ ისე, ნამდვილად არ შემიძლია, რომ ღიად დაუჭირო მხარი მსგავს ნაშრომებს, რადგან არასაგვებოთ ღირსეულ საქმედ მიმაჩნია. ჩემი სიტყვები მკვეთრად ხშიანებენ; ვშიშობ, რომ თქვენ ამ ჩემს სიტყვებს შერაცხავთ არაფრით გამართლებულ არაკეთილმოსურნეობად. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი ვარ და სხვანაირი ვერ ვიქნები“.

ქაჩია, რომ ყველა ასე მოწყონილად არ სმოკრობს

1898 წელს აინშტაინი თავის დას მათას სწერდა:

„ძალიან ბევრი მუშაობა მიწევს, მაგრამ, მეორეს მხრივ, არც ისე ბევრის ხანდახან ვახერხებ ერთი საათის გამონახვას და ვუსაქმურებ ციურების თვალნარმტვრის სანახებში... სუყველა რომ ჩემსავით ცხოვრობდეს, მაშინ საუცხოო სათავგადასავლო რომანები აღარ იქნებოდა...“

აინშტაინი და ელისონი

ელისონმა ერთხელ აინშტაინს უამბო, რა ვქნა, ვერა და ვერ შევარჩიე ჩემი თანაშემწეო. აინშტაინი დაგულისყურდა, რა კრიტიკიუმებით არჩევთ თანაშემწესო. ელისონმა კითხვებჩამოწერილი რამდენიმე ფურცელი დაუდო აინშტაინს. მან კითხვა დაიწყო:

„რა მანძილია ნიუ-იორკიდან ჩიკაგომდე? — და უპასუხა: „საჭიროა სარკინიგზო ცნობარში ჩახედვა“.

შემდგომი კითხვა: „რისგან ამზადებენ უჟანგავ ფოლადს?“ — და ეგრევე უპასუხა: „ამის ნახვა შესაძლებელია ლითონმცოდნეობის ცნობარში“.

დანარჩენ კითხვებს სწრაფად გადაავლო თვალი, ფურცლები გვერდზე გადადო და თქვა: „თქვენს უარს აღარ ველოდები, ნებაყოფლობით ვხსნი ჩემს კანდიდატურას“.

(გაგრძელება მოიხ ნომერი)



– ბატონო როსტომ, ამ ბოლო დროსაც უჩვეულო სიასხელების მოწმეს გვხვდით: „თვითმკვლელობა ქართულად“ მისტიკურ რომანად შემოგვთავაზეთ.

– დეტექტიური ნაკადებით.
– დიახ, დეტექტიური ნაკადებით. და ასევე უეცრად ეს ლინგვისტური რომანი: „ჟარგონი და მეტსახელი, და კიდევ ტოპონიმო-კა და ხეთური სამყარო“.
– აქ აღარ მიიწინაა დეტექტიური ნაკადებით-მეთქი, თუმცა ეს ნაკადები ამ ნიგნი-შიც არანაკლებ საცნაურია.
– რა გასაკვირია, ლიტერატურული დეტექტივი საერთოდ წინაშედგობოდა თქვენი სტილური მანერისათვის, პიესებში სულაც თქვენვე რომ მოგვეყვინეთ გამოძიებულად და ზურაბ ანტონოვისა და ივანე მაჩაბლის მკვლელობების საიდუმლო გახსენით.

– მე რატომ, ილია ჭავჭავაძე მოგველი-ნა გამოძიებულად.
– თქვენი პერსონაჟი ილია.
– და მაინც ილია!
– თქვენი პერსონაჟი, თქვენი, ის საიდუმ-ლოებითმოცული საქმეები თქვენი გახსნი-ლია.

– როგორც ტრიფონ ჯაფარიძის მემუ-არების ერთმა პასაჟმა ცხადყო, ივანე მა-ჩაბლის უგზოუკვლოდ გაქრობის მიზეზიც და მოტივიც ილიას მაშინვე ჰქონდა მიგნე-ბული, თუმცა მის საქვეყნო გაცხადებას – ერ-თგვარი ყოყმანის შემდეგ – მაინც დაფარვა ამჯობინა, რაკილა ისეთმა კაცმა სთხოვა, ხელი აეღო მიზეზის გამოძიება-გამოცხა-დებაზე, მის სიტყვას ვერ გადავიდოდა.

– აკაკი წერეთელმა, როგორც პიესაში ირწმუნებით.

– აკაკი წერეთელმა, რასაც საკმაოდ სა-ფუძვლიანი ვერაუდი ადასტურებს.

– რალაც ვაცდით საზურის კალაპოტს, რადგანაც ამჯერად სულაც არ ვაპირებდი თქვენს დეტექტიურ მიდრეკილებაზე მსჯე-ლობას, თუმცა თავისთავად ძალიანაც მაინ-ტერესებს, რატომაც არა... მაგრამ ჯერ ის როგორ არ გავარკვიოთ, რამ გიბიძგათ ამ უჩვეულო სიასხელებისაკენ, განსაკუთრებით კი ლინგვისტური რომანის შესაქმნელად, თორემ თვითმკვლელობის ამბები შესაძლოა სხვასაც მოექცია რომანის ფანტომი, აი ლინ-გვისტური რომანის შემთხვა კი, ვეჭვობ, სხვასაც მოენდომებინა.

– რატომ, ხომ არსებობს მილორად პა-ვიჩის „ხაზარული სიტყვისკონა“ და მისი გავლენით ეგებ მოენდომებინა იმ სხვასაც.

– თქვენთვის შთამბეჭობელი პავიჩის რომანი არა ყოფილა, ნიგნის წინასიტყვა-ობაში კ. კერამის არქეოლოგიურ რომანს ასხენებთ: „ღმერთები, აკლდამები, მეცნიე-რები“.

– ჩემი სიყმაწვილის ერთ-ერთ უსაცვარ-ლეს ნიგნს, და შთამბეჭობელი მართლაც ის უფროა, თუმცა ცხადია, ვითვალისწინებ-დი მილორად პავიჩის „ხაზარულ სიტყვის-კონასაც“, რომელიც უსახნიშნაადაა ამეტყ-ველებული ქართულად გურამ გოგიაშვი-ლის ხელოვნების წყალობით და ორი ესე-იც მიუძღვნი მის ანალიტიკურ გააზრე-ბასა და შეფასებას.

– განსხვავება ისაა, რომ პავიჩის რომანი პირწმინდა გამონაგონია, მწერლის ფანტა-ზიის ნაყოფია, თქვენს რომანს კი, გარდა მხატვრული დანიშნულებისა, უდავო მეც-ნიერული ღირებულებაც აქვს დიდძალი მა-სალის მოძიებითა და შესაფერისი დახარის-ხება-ანალიზის მეშვეობით. თანაც მარგინა-ლურ ენათმეცნიერულ დარგებს საბოლოო-დ მოუპოვეთ მოქალაქეობა.

– ჟარგონსა და მეტსახელს გულისხმობთ და არა ტოპონიმოკას, რომელსაც აქამდეც ჰქონდა დამკვიდრებული თავისი ლირსეუ-ლი ადგილი და – ჟარგონისა და მეტსახე-ლისაგან განსხვავებით – სულაც არ მიიჩ-ნეოდა გერად ლინგვისტიკაში.

– რა თქმა უნდა... თუმცა თქვენი მხრივაც დაბეჯითებით დაადასტურეთ ტოპონიმოკურ ძიებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა.

– ჟარგონისა და მეტსახელისათვის შე-საფერისი პატივის მიგება და ამ მიმართუ-ლებით ენათმეცნიერთა ინტერესის გაცხო-ველება მართლაც შეამაყება... რატომაც არა?!

– ნიგნში არსებითად ყველაფერია თავ-მოყრილი, რაც სხვადასხვა დროს ენათმეც-ნიერებაში გაგიკეთებიათ.

– ასეა, ოღონდ არც არასოდეს ვიფიქ-რებდი ამ ნაკადის ცალკე ნიგნად გამოცე-მას, რომანის ფორმაში რომ არ მომექცია ადრეული თუ ბოლოდროინდელი ლინგვის-ტური ნაშრომები, შესაფერისი ქარგაც არ გამოიქმნებოდა და შინაგანი მთლიანობაც არ

გამეძლიერებინა ვრცელი მინაწერებითა და ეპილოგების სერიით, რაც ანესერგებს ნიგ-ნის კომპოზიციურ სტრუქტურასა და არ-ქიტექტონიკას და მართლაც რომანად აქ-ცევს.

– ვრცელ მინაწერებად და ეპილოგების სერიად იხსენიებთ, არადა ნოველებით არის დაწერილი, პიროვნული ხასიათებიც რომ წარმოჩნდება. შეშმა პავლე ინგორო-ვას „ხეთური იეროგლიფური დამწერლო-ბის“ დრამატულმა თავდადასავალმა, ან უკვე ოთარ ჩხეიძეს რომ შეატოვეს ხელში და არაფრისიდეებით არ დააბეჭდინეს გორის სალიტერატურო ალმანახ „ლიახვის“ ფურ-ცლებზე... იქ კიდევ სტალინიზმის რაობას რომ აშიშვლებთ ქართულ მეცნიერებაში... იქ კიდევ „ქართული გინების ლექსიკონის“ შედგენის ირგვლივ რომ მსჯელობთ ნახე-რად იუმორისტული მანერით. სხვათა შო-რის იუმორისტული პასაჟებიც შესვდება მკითხველს ამ რომანში, განსაკუთრებით მა-



ვნილ ნარკვევს აქ არ ჩავრთავდი, არც ში-ნაგანი მთლიანობის გაძლიერებაზე ვიზრუ-ნებდი და ხელმოვრე გამოცემისას ნიგნი ცოტა უფრო მოწრილი ლინგვისტური ცდა იქნებოდა... ეგაა და ეგ...

– სალიტერატურო კრიტიკას უხვ მასა-ლას რომ აწვდით თქვენი რომანებით – აქამ-დე ბიოგრაფიული და ასევე ამ ორი უჩ-ვეულო ნიგნითაც – „ჟარგონი და მეტსახე-ლი, და კიდევ ტოპონიმოკა და ხეთური სამ-ყარო“ ჯერ მარტო არქიტექტონიკის გამო გახდება საფუძვლიანი შესწავლის საგანი, უანრობრავად მისი რომანულობა შეიქნე-ბა გასაანალიზებელი და შესაფერისი დას-კვნებით გამოსატან... ისე თქვენ ლინგვის-ტურ რომანებად მოიხსენიებთ თედო სახო-კიას „ქართულ სატოვან სიტყვა-თქმებას“ და გიორგი შატერაშვილის „თავადადური ქართული ტრანსკრიპცია“, თუმც მათ ავტო-რებს ასეთი რამ არც უფიქრიათ.

– იმთ თუ არ უფიქრიათ, ჩვენ ხომ შეგ-ვიძლია, რომ ვიფიქროთ. ამ გადასახედი-დან რატომაც არ შეიძლება მათი ორიგინ-ალური აღნაგობის ლექსიკონების სწორე-დაც პოსტმოდერნისტული სტრუქტურის რომანებად მივიჩნიოთ.

– მილორად პავიჩის „ხაზარული სიტყ-ვისკონის“ ანალოგიით?

– დიახ, ამ რომანის ანალოგიით.
– და თქვენც მათ კვალში დაგხართ.
– თავისთავად.

– თქვენი თხზულებების შესწავლა ვახ-სენე მათი უანრობრივი თავისებურების მი-საგნებად და წარმოსაჩენად და ამ მხრივ მე-ტად საფულისხმოდ მეჩვენება გიორგი ხორ-ბალაძის არცთუ ვრცელი, მაგრამ საფუძ-ვლიანი და მასშტაბური ნარკვევი: „როსტომ ჩხეიძის „ცდა“, როგორც ერთგვარი უანრობ-რივი ფორმა „დეტექტიური ცდების“ მაგა-ლითზე“, „ქართული სიტყვის“ 2018 წლის 24 იანვრის ნომრის ფურცლებზე რომ გამოქ-ვეყნდა და თქვენი „ცდები“ განისაზღვრა როგორც მხატვრული კვლევის ნიმუში.

– ეს მართლაც მასშტაბური ნარკვევია, ამ მიმართულებით კვლევის დიდ პერსპექ-ტივას რომ ხსნის. არც მიკვირს – გიორგი ხორბალაძე ახალი ტალღის ერთ-ერთი გა-მოკვეთილი და კოლორიტული სახელია: მეცნიერთა ერთად ჩინებული პოეტიც.

– კიდევ თუ უნდა ველოდეთ თქვენგან რაიმე უჩვეულოს ახლო ხანებში?

– ისე დარწმუნებით იმეორებთ ამ „უჩ-ვეულოს“, ლამის დაგიჯეროთ, რომ მართ-ლაც რაღაც განსაკუთრებული ყოიდაა ჩე-მი ნიგნები. უჩვეულოს აქ ვერაფერს ვხე-დავ, უბრალოდ, ყოველთვის ვცდილობ, რომ ორიგინალურობისაკენ სწრაფვა ბუნებრი-ობის ძარღვე იყოს ამოწერილი. ნიგნი ცხოვრებად ვაქციო და ცხოვრება ნიგნად.

– და ლინგვისტური რომანიც ამ სწრაფ-ვის ერთ-ერთი გამოვლინებაა.

– თანაც ჩემი ბავშვობასა და ახალგაზ-რდობასთან შეხვედრის ერთი ყველაზე რე-ალური და ბაბილონიკი.


– ცდიდან რომანამდე გარსში მოქცეუ-ლი.

– ცდიდან რომანამდე...
– მაშ ნიგნი ცხოვრება და ცხოვრება ნიგნად?!

– უფრო შემავლენიანებელიც რა შეიძ-ლება იყოს ლიტერატურული ნაღმებითა და არალიტერატურული ბარიერებით გადაე-სებულ გზაზე...

ლინგვისტური ცდიდან ლინგვისტურ რომანამდე

თამარ ლონაძეს ესაუბრება როსტომ ჩხეიძე



ინც დამამახსოვრდა მეტაბოფიზიკისა და მე-ტაფიზიკის თაობაზე თქვენი ირონიუ-ლი გადაკვრა, არცთუ უწინარა...

– არაფერი გამოგრჩეთ!
– რატომ უნდა გამოგრჩეთ. მერე კი-დევი სილუეტები: კოტე წერეთლის, ბეჟან კი-ლაჩავას, ზურაბ ჭუმბურიძის, სულაც ლი-ტერატურული პორტრეტი ზურაბ სარჯვე-ლაძის. და კიდევ...

– ინტერვიუ გვაქვს თუ რეცენზიას წერთ?
– ახალი შთაბეჭდილებების ქვეშ ვარ და სიტყვაც ამოივლია... მოიცა, რას ამბობდით?

– კომპოზიციური სტრუქტურა და არ-ქიტექტონიკა მართლაც რომანად აქცევს-მეთქი.

– მაშ კერამია ბიჭის მომცემი.
– კერამამდე და პავიჩამდე, ანუ მათი ნიგნების გათვალისწინებამდე, უშუალო ბიჭი მაინც ჩვენს ენათმეცნიერთა და ლი-ტერატორთა შეგულიანება აღმოჩნდა თე-ლავისა და სოსუმის უნივერსიტეტებში ამ ნიგნის პირვანდელი ვერსიის განხილვისას.

– პირვანდელი ვერსიის ანუ ლინგვისტუ-რი ცდის, რომელიც მოიცავდა მხოლოდ ჟარგონსა და მეტსახელს.

– სწორედაც ლინგვისტური ცდის, რე-მელიც ამოწრილი იყო ოთარ ჩხეიძის არ-ქივში თავმოყრილ მასალებზე და მისი შე-მოქმედებითი ლაბორატორიის ზოგიერთ დეტალს არკვევდა. და აი განხილვისას გა-მომსვლელები: როინ ჭიკაძე, მაყვალა მი-ქელაძე, იოსებ ჭუმბურიძე, მერაბ ნაჭყებია, თამილა ზვიადაძე, მარინე კაკაბია, ქეთევან მარგანი, ნინო ვახანია – იმ მომცრო ნიგნს წამდაუსწომ იხსენიებდნენ რომანად, რასაც არ ვეთანხმებოდი და დაბეჯითებით ვიმე-ორებდი, რომ: რომანს შესაფერისი ტანიც უნდა ჰქონოდა და მომცრო ნიგნი ვერ იტ-

ვრთებდა რომანობას, რაოდენ ვრცელიც უნდა ყოფილიყო მისი შინაგანი დიაპაზონი. ისინიც თავის მხრივ მიბეჯითებდნენ, რომ მთავარი სწორედაც შინაგანი დიაპაზონია და არა გარეგნული მოცულობა, რაც ბო-ლოსდაბოლოს პირობითობაა, აი შინაგა-ნი სივრცე კი გადაამყვეტია.

– სხვათა შორის, მეც ასევე მიმაჩნდა და გულს მაკლდა, ნიგნს რომ „ლინგვისტური ცდა“ ეწერა ქვესათაურად და არა „ლინგ-ვისტური რომანი“.

– ისე... ასევე იხსენიებდნენ წლების წი-ნათ ჩემს ისტორიულ ცდასაც ზვიად გამ-სახურდიაზე – „თუ საწუთრომან დამამხოს“ – რომანად სხვადასხვა თავყრილობაზე, და ყოველთვის ვაპროტესტებდი: არ არის ეს რომანი, რადგანაც შესაფერისი ტანი და ალ-ნაგობა არ მოსდევს-მეთქი. არ მიჯერებდ-ნენ, რომანი და რომანიო, – იმეორებდნენ. და ესეც აღმოჩნდებოდა ერთ-ერთი მიზე-ზი, მოგივანებოთ ამ ცდასაც რომ შევავსე-დი, დავუმატებდი მეორე ნაწილსაც, იმას უკვე დეტექტიური ყაიდისას: „ძველი ხიბუ-ლას საიდუმლოება“, და... კიდევ შექმნი-დი რომან-დილოგიას „ეკლის გვირგვინი“.

– სასიკეთოდ ნაჯადაგათ ნამდვილი მკითხველების ის დაფიქნება.

– სასიკეთოდ მაშ.
– და ამჯერადაც იგივე გამოვრდა.
– გამოვრდა და ეგაა.

– და უკმაყოფილო არა ხართ.
– რას ამბობთ, რა უკმაყოფილო... ის და-ჟინება რომ არა, შესაძლოა ტოპონიმოკუ-რი ნაწილიც მიმემატებინა ახალი გამოცე-მისათვის – „ყვლქვეული ტოპონიმებში“, მაგრამ პავლე ინგოროვყვას „ხეთური იეროგლიფური დამწერლობისადმი“ მიძლ-



კენეტ იალოვიცი: საქართველომ ის კონსტიტუციური კრიტიკა უნდა გაითვალისწინოს, როგორც მემორანდუმის საქართველოში შეყვარებული დიალოგის რჩევები

პრეზიდენტი დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია საქართველოს მიმართ მეტ მხარდაჭერას გამოხატავს, ვიდრე წინა ადმინისტრაცია, ამის დასტური ჯავახიანი მისი მიყვირება, ვიცე-პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტი და სახელმწიფო მდივნის მკაფიო მხარდაჭერის განცხადებებია – ამბობს

ბატონო კენეტ, მადლობა ინტერვიუსთვის. საქართველოში სულ ახლახან იყავით. რა შთაბეჭდილებებია დატოვა თქვენთან?

როცა საქართველოზე ვსაუბრობ, კარგია ხოლმე იმის გათვალისწინება, რომ ქვეყანას თვალს 1998 წლიდან ვადევნებ. სწორედ მაშინ დაიწყო ამერიკის ელჩად მოგესვენება, მაშინ სიტუაცია საკმაოდ მძიმე იყო. მას შემდეგ საქართველომ უდიდეს პროგრესს მიაღწია – გაიმართა რამდენიმე თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები. რა თქმა უნდა, არის კრიტიკაც, მაგრამ საერთო ჯამში, ისინი საერთაშორისო დამკვირვებლების მიერ დადებითად იქნა შეფასებული. ქვეყანას ჰყავს ფუნქციონირებადი პარლამენტი, მოქმედი პრეზიდენტი, პრემიერ-მინისტრი... სააკაშვილის მთავრობიდან „ქართული ოცნებისთვის“ ძალაუფლების გადაცემა ძალიან დიდი პატივია. პრობლემები არის? კი. შემოღობვის მიზეზები? კი. მე ამ გამოწვევების საბჭოთა ადგილობრივი მმართველობის განხილვაზე ვსაუბრობ. იმისთვის, რომ წარსულში გავლილი ცუდი გამოცდილება დაივიწყოს, დროა საჭირო. საქართველოს რაღაც ეტაპზე მოუწევს ამ პრობლემების გადალახვა. ქვეყანა ნატოსა და ევროკავშირის გზას ადგას და ამ გადმონათლებლისთვის თავის გაართმევას აუცილებლად მოუწევს.

რას გულისხმობთ ამ გადმონათლებლში?

ერთ-ერთი საკითხი ერთ-პარტიული მმართველობაა. რა თქმა უნდა, პარლამენტში არის აქტიური ოპოზიცია, მაგრამ კონტროლი სინამდვილეში მხოლოდ ერთ პარტიას აქვს. საქართველოში ვითარება ისე ცუდად არაა, რა თქმა უნდა, როგორც რუსეთში, ან რელიურად ავტორიტარულ ქვეყნებში, მაგრამ ერთპარტიული მმართველობა გარკვეულ რისკებს შეიცავს. ამ დროს წნდება განცდა, რომ არ არის კომპრომისზე წასვლის თუ დიალოგის გამართვის საჭიროება. ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ მოსახლეობის ნაწილი უკმაყოფილოა მთავრობის გამჭვირვალობის ხარისხით, უკმაყოფილოა იმ სწრაფი ტემპით, რომლითაც საკონსტიტუციო ცვლილებები იქნა მიღებული. ეს ყველაფერი უნდა გამოისწორდეს.

მეორე საკითხი ის არის, რომ საქართველოში მესიების ერა უნდა დამთავრდეს. ეს ის სიცოცხლეზე დიდი ფიგურებია, რომლებიც უდიდეს გავლენას ახდენენ, იქნება ეს ოფიციალური თანამდებობიდან თუ კულისებს მიღმა დარჩენით. ეს თემა გამჭვირვალობას და დაბალანსებული პოლიტიკური სისტემის ქონას უკავშირდება.

მესამე საკითხი ვფიქრობ, საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მეტი ქალის დანიშნვა და არჩევაა. დღეს ქალები არიან თანამდებობებზე, მაგრამ მათი რაოდენობა უნდა გაიზარდოს.

თქვენი აზრით როგორ ვითარდება საქართველოს ეკონომიკა?

ეკონომიკას დეტალურად ვაკვირდები. საქართველოს ეკონომიკა იზრდება, მაგრამ ქვეყანას ნამდვილად ესაჭიროება ერთი სულ მოსახლეუ შემოსავლის გაზრდა, როგორც ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის ერთი ნაწილი. მაგა-

აშშ-ის ყოფილი ელჩი საქართველოში კენეტ იალოვიცი.
„ამერიკის ხმის“ ჟურნალისტი 36-წლიანი გამოცდილების მქონე ყოფილ დიპლომატს ამერიკა-საქართველოს ურთიერთობებისა და ორ ქვეყანას შორის პარტნიორობის გზაზე არსებულ გამოწვევებზე ვსაუბრობ.

ლითა, უნდა დამთავრდეს მიწის რეგისტრაციის პროცესი – ის დაიწყო, მაგრამ ბოლომდე არ არის მისული. საქართველოში არ არსებობს მიწის ბაზარი, სადაც ადამიანები მიწას იყიდებენ და გაყიდიან. თუ ქვეყანას სოფლის მეურნეობის განვითარება სურს, ეს აუცილებლად უნდა გაკეთდეს. უნდა შექმნას მედიაციის მეთოდები ისეთი შემთხვევებისთვის, როცა ბიზნესებს კომერციული დავები აქვს. სასამართლო სისტემა, ცხადია, დასახვეწია. ანუ, ბევრი რამაა გასაკეთებელი მთავრობის მხრიდან ხალხის ჩასართავად და გამჭვირვალობისა და ღიაობის გაზარდვად.

ეს საკითხები, რომლებზეც თქვენ საუბრობთ, უკვე დიდი ხანია, განხილვის თემაა. სამართლიანობის მიზნით, უნდა თქვათ, რომ ყველა მთავრობა – ზოგადად მეტი მონდომებით და ზოგი ნაკლებით – ცდილობს რეფორმების გატარებას. თუმცა ისეთ ფუნდამენტურ საკითხებში, როგორცაა სასამართლო სისტემა, ეკონომიკა, მთავრობის როლი ბიზნესის განვითარებაში და სხვა, უცვლელად რჩება. რას უკავშირებთ ამას, რეფორმების სირთულეს თუ მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ნების არ ქონას?

პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილს და პრეზიდენტ მარგველაშვილს დიდ პატივს ვცემ. ვფიქრობ პრემიერი ტექნიკურად ძალიან კვალიფიცირებული ადამიანია. რეფორმებზე საუბარი, რა თქმა უნდა, დიდი ხანია გრძელდება, მაგრამ ამჯერად ისინი უფრო აქტიურად უნდა განხორციელდეს და ამაზე ორი აზრი არ არსებობს.

საქართველოში ყოფნის დროს ერთი საკითხი, რომელზეც ბევრჯერ მესმოდა, იყოს ის, რომ უსაფრთხოების ზოგიერთი სამსახური ისე მკაცრად არ კონტროლდება, როგორც საქართველოში. გასულ წელს აზერბაიჯანელი ჟურნალისტის საქმე სწორედ ამ პრობლემაზე მიუთითებს. როცა მე საქართველოში ვმუშაობდი, საქართველოს არ ჰყავდა გამართული მთავრობა. მთავრობა უფრო ინდივიდუალური პირების ჯგუფი იყო, რომლებიც შევარდნაძის დაქვემდებარებაში იყვნენ. დღეს პრემიერ-მინისტრის ყოფილი ძალიან დიდი წილად დამხმარე ნაბიჯია. მაგრამ პრემიერ-მინისტრს უნდა ჰქონდეს ძალაუფლება, რომელსაც მას არა მხოლოდ მთავრობაში მომუშავე, არამედ მთავრობის გარეთ მყოფი ადამიანებიც მიანიჭებენ. ამ მხრივ, უდავოდ ბევრი რამაა გასაკეთებელი. ბოლო 20 წელი ვაკვირდები საქართველოს და საბოლოო ჯამში, ქართველები ყოველთვის იმას აკეთებენ, რაც საჭიროა. ვფიქრობ, პროგრესი დიდი, მაგრამ ჯერ ისევ ბევრი რამაა გასაკეთებელი.

კარგად მესმის რეფორმებზე, რასაც ამბობთ. თუმცა, ერთი საკითხის გარკვევა მინდა. იმის მიღწევად წარმოჩენა, რომ საქართველოს დღეს პრემიერ-მინისტრი და შემდგომი მთავრობა ჰყავს, ხომ არ არის ქვეყნის მიმართ მთავრობის მინიმუმამდე დანეგა? ბალტიისპირეთის ქვეყნებზე საუბრისას არავინ აქვს მათ იმისთვის, რომ შემდგომი მთავრობები ჰყავთ...

მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ ჩემთვის ათწლის ნერტილი 20 წლის წინანდელი საქართველოა, როცა ქვე-

ყანაში იყო ომი, აჭარაში ინყებოდა არეულობა, მთავრობა ვერ აგროვებდა გადასახადებს, ჯარი და პოლიცია თითქმის არ არსებობდა. იყო ხალხი, რომელსაც უნდოდა, რომ პრეზიდენტის მმართველობა თბილისს გარეთ არ გასულიყო.

როცა საქართველოზე ვსაუბრობ, მეტაფორულ ჭიქაზე ყოველთვის ვამბობ, რომ ის ნახევრად სახვედა და არა ნახევრად ცარიელი. და ეს იმის გამო, რომ საქართველოსა და ქართველი ხალხის მიმართ უდიდესი პატივისცემით და სიბოთით ვარ განწყობილი. საქართველომ ის კონსტიტუციური კრიტიკა უნდა გაითვალისწინოს, რომელიც მემორანდუმისგან მოდის.

– საქართველოს ბევრი მეგობარი ჰყავს ვაშინგტონში – ადმინისტრაციაში იქნება ეს თუ კონგრესში. დღეს ჩანს, რომ ადმინისტრაციამ საქართველოს მიმართ მხარდაჭერა თითქოს გაზარდა – ვნახეთ ჯავახიანი დამტკიცება, ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტი, სახელმწიფო მდივნის მხრიდან მხარდაჭერის მტკიცე განცხადებები. თქვენ როგორ შეაფასებდით ამერიკის პოლიტიკას საქართველოს მიმართ?

– თქვენ მშვენივრად შეაფასეთ ეს პოლიტიკა. მინისტრი ჯანელიძე პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, რომელსაც სახელმწიფო მდივანი ტილერსონი შესვდა. ვიცე-პრეზიდენტი პენსიის საქართველოს ნატოში განწევრიანებას მხარს უჭერს, ტილერსონმა მკაფიო მხარდაჭერის განცხადებები გააკეთა. კონგრესშიც მოგესვენება, ჯონ მაკკეინი იქნება ეს თუ სხვა ბევრი სენატორი თუ კონგრესმენი, საქართველოს დიდ მხარდაჭერას უცხადებს.

ვფიქრობ, მხარდაჭერა ნამდვილად არსებობს. ერთი პრობლემა ის არის, რომ ამერიკას დღეს უდიდესი გამოწვევისთვის უხდება თავის გაართმევა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთ. შეიძლება ამის გამო, ამერიკელები ისე პირდაპირ ჩართულები არ იყვნენ საქართველოსთან, როგორც ამას თბილისი ისურვებდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ ძალიან ძლიერი პარტნიორობა გვაქვს. თავდაცვის დეპარტამენტი საქართველოს ძლიერი მხარდაჭერია. ჯავახიანი მისი მიყვირება ამის ცხადი დასტურია. ერთი, რასაც ვსურვებ, ის არის, რომ იყოს უფრო მეტი მაღალი რანგის ვიზიტები თბილისიდან და ვაშინგტონიდანაც ბევრი მაღალი დონის სტუმარი ჩასულიყოს საქართველოში.

„Radio Voice of America“ (აშშ)

ალიევმა ახარბაიჯანში რიგგარეშე სპარაზიზაციის არჩევნების თაობაზე განკარგულებას ხელი მოახდინა

არჩევნები 2018 წლის 11 აპრილს გაიმართა. ამავე განკარგულებით, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფა დაავალა.

აზერბაიჯანის მმართველმა გუნდმა რამდენიმე დღის წინ, პრეზიდენტობის კანდიდატად მოქმედი პრეზიდენტი უკვე დაასახელა. 2016 წლის სექტემბერში ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების თანახმად, აზერბაიჯანის პრეზიდენტს შვიდი წლის ვადით ირჩევენ.

EUROMONITOR -მა მსოფლიოს ყველაზე მონახულად ქალაქებად პონოვო-გი აღიარა. ექსპერტებმა დაადგინეს, რომ 2017 წელს პონოვოში მინიმუმ ერთი ღამე სულ 26,6 მლნ-მა ადამიანმა გაატარა. ტრანზიტული მგზავრები აღნიშნულ სტატისტიკაში შესული არ არის.

რეიტინგში მე-2 ადგილზეა ბანკოკი, სადაც იმ ადამი-

ანების რაოდენობამ, რომელმაც ქალაქში თუნდაც ერთი ღამე დასვა, 21,2 მლნ შეადგინა.

მე-3 პოზიციაზეა ლონდონი - 19,2 მლნ ვიზიტორით.

მე-4 პოზიციაზეა იკავებს სინგაპური (16,6 მლნ).

მე-5 ადგილზეა მაკაო (15,4 მლნ).

„ტოპ-10“-ში ასევე მოხვდნენ დუბაი, პარიზი, ნიუ-იორკი, შენჩენი და კუალა-ლაჰპური.

გერმანიის მთავრობის მიმართ სიკატრონის ტაქტიკის შეჩერება მოითხოვენ

გერმანიის ქალაქ კოტბუსში მიგრანტების მხარდამჭერი ანტიფაშისტური აქცია გაიმართა. გავრცელებული ცნობით, დემონსტრაციაში 1500-მდე ადამიანი მონაწილეობდა, მათ შორის გერმანელები და არაბი მიგრანტები.


აქციის მონაწილეები გერმანიასა და ევროპაში ლტოლვილთა მიმართებაში სიძულვილის ტალღის შეჩერებას ითხოვენ. საპროტესტო აქციის მიმდინარეობისას გამკაცრებული იყო უსაფრთხოების ზომები. პოლიციის საზღვართან მდებარე ქალაქ კოტბუსში გასული წლის არჩევნებში კანცლერ ანგელა მერკელის პარტია დამარცხდა ან-

ტიმიგრაფიული პარტიასთან „ალტერნატივა გერმანიისთვის“.

მიგრანტების მხარდამჭერი აქციის პარალელურად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლებმა მსვლელობა გამართეს. ანტიისლამური ლოზუნგებით მათ მიგრანტების მხრიდან ჩადენილი დანაშაულის ზრდა გააპროტესტეს. ცნობისათვის, გასულ თვეში ორმა სირიელი მოზარდმა 16 წლის გერმანელი ბიჭი დაჭრა დანით, მოგვიანებით კი სირიელი მოზარდთა ჯგუფი სავაჭრო ცენტრთან გერმანულ წყვილს დანით დაესხა თავს.

ჩინეთში უამინდობის შედეგად ავტობანზე ერთმანეთს 53 მანქანა შეჯახდა

ოთხი ადამიანი დაიღუპა ჩინეთში იუნანის პროვინციაში მასობრივი ავარიის შედეგად. ავტობანზე ერთმანეთს 53 მანქანა შეეჯახა. ინციდენტი დილით ადრე მოხდა. ხელისუფლების განცხადებით, ავარიის მიზეზი უამინდობა გახდა. ამ რაიონში ტემპერატურა ნულს ქვემოთ დაეცა, რასაც დაერთო თოვლი და წვიმა. ამის გამო გზის საფარი გაიყინა და მასზე გადაადგილება სასიფათო გახდა.



აქციური პროცესები თებერვალში

გაოფიზიკური პროცესების გააქტიურება თებერვალში მოსალოდნელია 7-12, 15-17, 20 და 23 რიცხვებში. ამ დროს სავარაუდოა ციკლონებისა და ქარიშხლების წარმოშობა, ყველა სახეობის ავარიულობის საფრთხის მომატება, დაძაბულობის ზრდა სოციალურ, სეისმოაქტივობის გაძლიერება.

7 – მორიელის თანავარსკვლავედში მთვარის ბოლო მეთხედვი. ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა. შესაძლოა ალგუნებადობის, შიშების, ეჭვიანობის გრძნობების გამძაფრება, მატულობს ქრონიკულ დაავადებათა, ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციების დარღვევითა წარმოშობის ალბათობა. მოერიდეთ გაცივებას, ინფექციებს, ტრავმებსა და ვენერიულ დაავადებებს.

8 – მორიელის თანავარსკვლავედში მთვარისა და იუპიტერის შეერთება. შესაძლებელია გახდეს ისეთი თვისებები, როგორებიცაა ყოყმანითობა, თვითდაჯერებულობა, უკომპრომისობა. დიდია საშარდე ორგანოთა, წინამდებარე ჯირკვლის დაავადებების წარმოშობის ალბათობა, სისხლის მონამვლის საფრთხე. საჭიროა ინფექციების მორიდება, ფიზიკური დატვირთვებით გულს ნუ გადაიღლით.

9 – მშვილდოსნის თანავარსკვლავედში მთვარისა და მარსის შეერთება. გამოირიცხული არ არის უფრო აქტიური გახდეთ, გაგიძლიერდეთ მომთხოვნელობა. ერიდეთ თქვენთვის სახსრების ტრავმებს, ფილტვების ანთებას, ზოგადად უფრთხილად ტრავმატიზმსა და გაცივებას, უარი თქვით მძიმე და ცხიმოვანი საკვების მიღებაზე. ნურც ფეხებს დაიტვირთავთ ზედმეტად. კარგი დროა კონტაქტების დასამწყობად, სწავლისა და სპორტული ვარჯიშებისთვის.


11 – თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და სატურნის შეერთება. ესაა სალი გონების, მიზანდასახულობისა და კონსერვატიული მსოფლმხედველობის ზეობის დღე. სავარაუდოა ძვლების, სახსრებისა და მყესების სნეულებათა გამძაფრება, ხერხემლის, ოსთეოქონდროზის შეტევები,

კბილის ატკიება და კანზე გამოწყობის გაჩენა. სასურველი არ არის დიდი ფიზიკური დატვირთვები ხერხემალსა და სახსრებზე, სიმძიმეების აწევა და გაცივება.

12 – თხის რქის თანავარსკვლავედში მთვარისა და პლუტონის შეერთება. გამოირიცხული არ არის ძალების გამოცლა, დეპრესია, ემოციურობის გამძაფრება და ნევროზულობა. ასევე სავარაუდოა ართროზის, ართრიტისა და რევმატიზმის გამძაფრება. მოერიდეთ მძიმე ფიზიკური სამუშაოს შესრულებას, გაუფრთხილდით ხერ-

ხემალსა და სახსრებს. საკუთარ თავზე ახალ ვალდებულებათა აღებისას ფიზიკურად შეაფასეთ საკუთარი ძალები და შესაძლებლობები.

15 – მერწყულის თანავარსკვლავედში მთვარისა და მერკურის შეერთება. ამ დღისთვის დამახასიათებელია დამოუკიდებლობისადმი ლტოლვა, ერთგვარი სიჯიუტე, არაორდინარული მოქცევა, ამავე დროს სამეცნიერო სამუშაოებისადმი ლტოლვა. მოსალოდნელია ნერვული სისტემის შესუსტება, ნევროზი. დღე მშვიდ ვითარებაში უნ-



და გაატაროთ, მოერიდეთ ფიზიკურ და გონებრივ გადაღლას. მზის დაბნელებამდე, რომელიც ჩვენი დროით შუალამს გადაცილებულზე (00.53 წთ.) მოხდება, ანდა ძილის წინ, კარგი იქნება კონტრასტული შხაპის მიღება და ღია ფერის ტანსაცმლის ჩაცმა.

16 – ახალმთვარეობა, თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ვენერას შეერთება. მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვალებადობა, ქრონიკულ დაავადებათა გამძაფრება, არტერიული წნევის თამაში, ტკივილები გულის არეში, შრომისუნარიანობის დაქვეითება. მოერიდეთ ინფექციურ დაავადებებს, უარი თქვით მძიმე და ცხიმოვანი საკვების მიღებაზე. კარგი იქნება გრილი შხაპის მიღება, ასევე ტერფების დაზელება.

17 – თევზების თანავარსკვლავედში მთვარისა და ნებტუნის შეერთება. შესაძლოა ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის მუშაობაში შეფერხებების წარმოშობა, ფეხების სისხლის მიმოქცევის დარღვევები, ფეხის სახსრებისა და ტერფების დაავადებათა წარმოჩენა. მოერიდეთ ფეხების დაღლას, ღვიძლის მძიმე, ცხიმოვანი საკვებით გადატვირთვას. დაიცავით დიეტა.

20 – ვერძის თანავარსკვლავედში მთვარისა და ურანის შეერთება. ამ დღეს მოსალოდნელია თავის ტკივილები, მშფოთვარე ძილი, სმენის, თვლებისა და კბილების სნეულებათა გამძაფრება. მოერიდეთ გაცივებას, დაიცავით დასვენებისა და ძილის რეჟიმი. დიდად სასარგებლო იქნება სეირნობა, ზომიერი ფიზიკური დატვირთვა.

23 – ტყულების თანავარსკვლავედში მთვარის პირველი მეთხედვი. ამ დღეს მოსალოდნელია ატმოსფერული წნევისა და ტემპერატურის ცვლილებები. სავარაუდოა პირადული აქტივობის, ემოციურობის გამძაფრება. შესაძლოა მხრების, იდაყვების, ხელების მტკვნევის რევმატული ტკივილების წარმოშობა, ოსთეოქონდროზის შემოტევა. ტრანსპორტით მოგზაურობისას იყავით განსაკუთრებულად ფრთხილად, მოერიდეთ ტრავმებს.

**მაგთი
MAGTI**

**მთელი თვე
ისაუბრე შეუზღუდავად!**

მაგთი 25

- ულიმიტო ზარები*
- 1000 MB ინტერნეტი
- ულიმიტო SMS

*მაგთის, ბალის, ბანის, ჯეოსელის, ბილაინის, მაგთი ფიქსისა და საქართველოს ნებისმიერი ფიქსირებული ქსელის აბონენტებთან.

25 52 OK

www.magticom.ge

ფიგურული ციგურაოზა

ქართული ნაციონალი
ტორუნში პირველია

პოლონეთის ქალაქ ტორუნში დამთავრდა ასაღმარდა ფიგურულად მოციგურავეთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 30 ქვეყნის 280-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა. წველითა თანრიგში შესანიშნავად იასპარეზეს თბილისელებმა - მარია კაზაკოვამ და გიორგი რევიამ, რომლებმაც მოკლე და თავისუფალ პროგრამებში ჯამში 132.07 ქულა მოაგროვეს და პირველი ადგილი დაიკავეს. ჩვენებმა მეორე ადგილზე გასულ უკრაინელებს - მარია გოლუბცოვასა და კირილ ბელობროვს 2.1 ქულით აჯობეს.

გივი ბაგვა



ფარიკაოზა


გუნდური უკეთ, ვიდრე პირადში

ოთხი ქართველი მოფარიკავე მონაწილეობდა მოხმალვად ვაჟთა მსოფლიოს თასის პირად-გუნდურ გათამაშებაში, რომელსაც იტალიურმა პადოვამ უმასპინძლა. საპრიზო ადგილებისთვის სხვადასხვა ქვეყნის 212 წარმომადგენელი იბრძოდა. ჩვენებურთაგან სანდრო ბაზაძემ ჯგუფურ ეტაპზე ექვსიდან ხუთ მეტოქეს სძლია და მხოლოდ ერთი ორთაბრძოლა დათმო. ექვსიდან ოთხ-ოთხი მოგებით გავიდნენ პლეი-ოფში საბა სულა-

(დიდი ბრიტანეთი, 15:13) და ფედერიკო დი სობიო (ნორვატეთი, 15:8) დაამარცხეს. წილისყრამ მეორე წრეში ქართველები დაუპირისპირა ერთმანეთს. აქ ბექა ბაზაძემ მოიპოვა გამარჯვება მინიმალური უპირატესობით - 15:14, მაგრამ მეორე მანაც ნააგო გერმანულ რიჰარდ ჰუბერთან - 7:15. ტურნირის მთავარი პრიზი ამერიკელმა ელი დერშვიციმ მოიპოვა, რომელმაც ფინალში უნგრელი არონ ზილაგი დაჯაბნა. ბრინჯაოს მედლები ლუკა კურატოლისა (იტალია) და ანდრეა ზატმარს (უნგრეთი) ერგოთ. 40. სანდრო ბაზაძე, 47. ბექა ბაზაძე, 72. საბა სულამანიძე, 120. მიხეილ მარდალიშვილი.

გუნდურ ტურნირში ჩვენმა ნაკრებმა სტარტზე არგენტინას სძლია - 45:39, ირანთან კი ვერაფერს გახდა - 29:45. მეცხრე ადგილისთვის პაექრობაში ქართველმა მოხმალვევებმა კანადა (45:29) და საფრანგეთი (45:44) ჩამოიშორეს გზიდან, თუმცა, გადამწყვეტი ორთაბრძოლა უკრაინასთან ნააგეს (41:45) და მე-10 ადგილზე გავიდნენ. საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: 1. კორეა, 2. იტალია, 3. უნგრეთი.

ლემსო ცინცაძე



მანიძე და ბექა ბაზაძე, ხოლო მიხეილ მარდალიშვილი სამ მოგებას დაეცა. ამ უკანასკნელმა 64 საუკეთესოში შესასვლელი პირველივე ორთაბრძოლა უნგრელ ტამაშ დეშისთან ნააგო - 12:15. მეორე წრეში მადიარს სანდრო ბაზაძემ აჯობა - 15:10, რომელიც მეორე რაუნდში გაორგე იანკუმ გამოთიშა შეჯიბრებიდან 15:11. პლეი ოფის პირველი ბარიერი გადალახეს საბა სულამანიძემ და ბექა ბაზაძემ - შესაბამისად, ჯონათან უები

ფიგურული ციგურაოზა

დალლა ისატი რაბაა

„მანჩესტერ სიტის“ ბელგიელი ნახევარმცველი კევინ დე ბრუნი ამბობს, რომ მიმდინარე სეზონში რთული გრაფიკის გამო გუნდი გადალლილია. „ბარსისთან“ მატჩის (1) სანქსიის წუთებიდანვე იგრძნობოდა დაღლილობა. სეზონის პირველ ათ მატჩში თავს მხნედ გრძნობ, მომდევნო ათ შეხვედრაში - ნორმალურად, მეორე კი - საშინლად. ახლა მთელი დატვირთვა 15-16 ფეხბურთელზე გადადის და ამას როგორმე უნდა გავუძლოთ“ - ციტირებს დე ბრუნის სიტყვებს The Guardian. „სიტი“ ოთხ ტურნირზე იბრძვის: პრემიერლიგაში, ინგლისის თასზე, ლიგის თასზე და ჩემპიონთა ლიგაში. რაც შეეხება თავად დე ბრუნს, მან მანჩესტერელთა მისიურით ამ სეზონში ყველა ტურნირზე ჯამ-



ში უკვე 35 მატჩში მიიღო მონაწილეობა. გიორგი შოთაძე

ინტერნეტიდან



სახსლია, სახსლია...

მეორე ბულგარულ საზოგადოებაში ყველა იცის, თუ ვინაა ვეტერანი ნიდერლანდელი მობურთალის ვესლი სნეიდერის ხელისუფლებისგან რა და ავირის დედა იოლანდა სნეიდერ-კაბაუ. ეს ესპანური ფესვების მქონე და ჰოლანდიაში გაზრდილი ლამაზმანი ნიდერლანდებში საკმაოდ ცნობილი მოდელი და მსახიობია.

სულ ცნობილი მონაცემებით, ქალბატონმა იოლანდამ უკვე ითამაშა 6 კომედიურ ფილმში და 10 დრამაში, რაც, დაგვეთანხმებით, არაა ურიგო შედეგი და მაჩვენებელი იმის გათვალისწინებით, რომ იოლანდა ესპანეთის ქალაქ იბიცაში 1985 წლის 19 მარტს დაიბადა და ამჟამად მხოლოდ 32 წლისაა. იოლანდა კაბაუსა და ვესლი სნეიდერს შორის 2009 წელს დაიწყო ურთიერთობა და წყვილი 2010 წლის ივლისში დაქორწინდა, შეუღლებიდან ექვსიდან დღის შემდეგ კი სნეიდერმა 2010 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ითამაშა და, როგორც გასოვით, იგი ჰოლანდიისთვის მეტად უიღბლო და დრამატული გამოდგა (0:1 - ესპანეთთან).

ამერიკალი

ზედიზედ მესამედ!

მიხეილ ძორძისა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის მემორიალის გამარჯვებული „ქუთაისი 2010“ გახდა. იმერულმა კლუბმა საკუთარ სპორტის სასახლეში გამართულ ფინალურ მატჩში „რუსთავს“ 118:104 სძლია და პრესტიჟულ თასს ზედიზედ მესამედ დაუფლა.

გადამწყვეტი შეხვედრა ვერ გამოდგა დაძაბული - მასპინძლებმა ლეგიონერთა გარეშე მოთამაშე მეტოქეს იოლად სძლიეს.

ფინალური მატჩის შესვენებაზე ქუთაისის სპორტის სასახლეში ლეგენდარული ქართველი კალათბურთელისა და მწვრთნელის ოთარ ქორქიას გრანდიოზულ სურათს ნიკოლოზ დერიუგინმა და ნოდარ ქორქიამ ჩამოხსნეს საბურველი, შეკრებილ საზოგადოებას კი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ჰაატა გურასპაულმა და ქუთაისის საკრებულოს წევრმა რამაზ ჩხიკვაძემ მიმართეს.

გამარჯვებულებს 23 ქულით, 12 მოხსნითა და 6 პასით რიჩარდ მათიაშვილმა ულიდერა, ხოლო 15-15 ქულა მოაგროვეს გიორგი ბარბაქაძემ და აკაკი დვალიშვილმა. რუსთაველთაგან ერეკლე ლორთქიფანიძემ გამოიწია, რომელიც 31 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. 28 ქულა მოაგროვა ლევან ცეცკვაძემ, 14 - ლევან ხმელიძემ.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გამართა დაჯილდოების ცერემონიალი. ტურნირის საუკეთესო უკანასაზღვრად

დასახლებული ქუთაისელთა ამერიკელი ლეგიონერი დეჟან რაიტი ზურაბ საკანდელიძის მეუღლემ მაცაცო საკანდელიძემ დააჯილდოვა. მემორიალის საუკეთესო ფორვარდი გახდა გიორგი ბარბაქაძე, რომელსაც სპეციალური პრიზი მიხეილ ქორქიას მეუღლემ მანანა ქორქიამ გადასცა.

ტურნირის ბოლო აკორდი მიხეილ ქორქიასა და ზურაბ საკანდელიძის სახელობის თასით ქუთაისელთა დაჯილდოება გახლდათ, რომელიც იმერული კლუბის კაპიტანმა გიორგი ბარბაქაძემ ანზორ საკანდელიძისა და ნოდარ ქორქიასგან ჩაიბარა.

ვიტალი ჯავარიძე



ჩოგბურთი



ოქსანა მეორაა

თბილისელმა ოქსანა კალაშნიკოვამ იაპონელ ნაო ჰინინოსთან ერთად ჩოგბურთულ ქალთა ტივანის ლია ტურნირის წველითა პეექრობის სტარტზე 47 წუთში მოუგო ვახახებს - ზარინა დიასსა და იულია პუტინცევას - 6:2, 6:1, მეორე მათს გზას გაუყენა კორნელია ემილი ლისტერი (შვედეთი) და არინა როდონოვა (ავსტრალია) - 6:2, 6:2. ნახევარფინალში ქართულ-იაპონურმა ტანდემმა პირველ ნომრად განთესილ ტიშეა ბაზოუსა

(უნგრეთი) და ჰაო-ცინ ჩენს (ტაივანი) სძლია - 6:2, 6:2. გადამწყვეტი ორთაბრძოლაში კალაშნიკოვა და ჰინინო ჩინელებთან - ინი დუნსა და იაფან ვანთან დაძაბულ პეექრობაში დამარცხდნენ - 6:7, 6:7 და მეორე ადგილს დასჯერდნენ, თან სარეტიგო 180-180 ქულა დაიმსახურეს.

თბილისელი ჩოგბურთელი საქართველოს ქალთა ნაკრებთან (ევატერინე გორგოძე, სოფიო შაფათავა, მარიამ ბოლქვაძე, კაპიტანი მარგალიტა ჩახნაშვილი-რანცინგერი) ერთად უკვე ბალტიისპირეთშია და 7-10 თებერვალს ტალინში ფედერაციის თასზე ითამაშებს. ჩვენი გუნდი პირველ ევროპულ რაუნდში მეორე მსოფლიო ჯგუფის პლეი-ოფის (2018 წლის აპრილი) 2 საგზურისთვის სერბეთსა (დეიანა რადანოვიჩი, ივანა ჯოროვიჩი, ოლგა დანილოვიჩი, პოიანა მარინკოვიჩი, კაპიტანი ტატიანა უესმინიკა. წინასწარ განაცხადში არ ჰყავთ ალექსანდრა კრუნიჩი და ელენა იანკოვიჩი) და ბულგარეთს (ვიქტორია ტომოვა, იზაბელა შინიკოვა, ჯულია ტერზიოსკა, გერგანა ტოპალოვა, კაპიტანი დორა რანგელოვა) გაუწევეს მეტოქეობას.

თამაზ პატარიძე

მაროკოსთან დამარცხდნენ

სამბრთმელოს ჩოგბურთელ ვაჟთა ნაკრები წარუმატებლად ჩაება დევისის თასის გათამაშებაში. მეორე ევროპულ რაუნდში ზონაში ჩვენებს მაროკომ უმასპინძლა. აფრიკელი მოთამაშეები რეტიტინგში ხუთასეულს მიღმა არიან, მაგრამ მათ სტუმრებზე მეტი წინი და შემართება აღმოაჩნდათ და გამარჯვებს კიდევ - 3:1. პირველი ასეულის ქართველმა წევრმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა შეჯიბრების პირველ დღეს ეამინ ეპოუდასთან (698-ე) ნააგო - 6:3, 3:6, 3:6, ხოლო მეორე ორთაბრძოლა ლამინ ოუაჰაბთან დათმო - 1:6, 3:6. შეჯიბრების სტარტზე კი გიორგი ცივაძე ხსოვრედ ოუაჰაბთან დამარცხდა - 3:6, 3:6. მართალია, წყვილებში ნიკოლოზ ბასილაშვილმა და ალექსანდრე მეტრეველმა ეპოუდა - ოუაჰაბის ტანდემს სამ სეტში აჯობეს - 7:6, 4:6, 6:2, მაგრამ ამას სავსებით ანგარიშზე გავლენა არ მოუხდენია. მაროკო მეორე წრეში გავიდა, სადაც 7-8 აპრილს ლუსკემბურგის მძლეველ (4:1) რუმინეთს გაუწევეს მეტოქეობას, ხოლო ამავე დღეებში საქართველოს ნაკრები ზონაში დასარჩენად ლუსკემბურგს დაუპირისპირდება.



ლავა დილია



რა წერია კანონპროექტში?

როგორ წარმოვიდგინოთ „რეფორმირებული მანდატური“?

მანდატურების სამსახურის რეფორმირების დაკავშირებით მომზადებული კანონპროექტი საქართველოს პარლამენტს უახლოეს დღეებში წარედგინება. გუშინ, სასტუმრო „კორთი-არდ მარლიოტი“, შინაგან საქმეთა სამინისტრომ და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ მანდატურების სამსახურის რეფორმირების დაკავშირებით „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი განიხილეს. შეხვედრას შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნათია მეზერიაშვილი და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ლია გიგაური უძღვებოდნენ. შეხვედრას, ასევე, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებები, პარლამენტის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრნენ. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონპროექტი უახლოეს დღეებში წარედგინება საქართველოს პარლამენტს. კანონპროექტის მიხედვით:

- სკოლებში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, შიდა და გარე პერიმეტრზე ვიდეოკამერების არსებობა გახდება საავსებელი. ვიდეოკამერები სკოლის მთელ ტერიტორიას და გარე პერიმეტრს დაფარავს. აღჭურვის პროცესი ეტაპობრივად წარიმართება და საქართველოს უკლებლივ ყველა სკოლას მოიცავს. სკოლებში, სადაც უკვე არსებობს კამერები, გადამონდგება მათი დაფარვის არეალი და საჭიროების შემთხვევაში, გაიზრდება ვიდეოკამერების რაოდენობა. ვიდეოკამერების აღმინისტრირებას მანდატურის სამსახური განახორციელებს;
- კიდევ უფრო გაიზრდება კოორდინაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შორის. კერძოდ, სკოლაში არსებული ადრეული ეტაპზე იდენტიფიცირებისა და სკოლის გარეთ დანაშაულის პრევენციის მიზნით, მოხდება სამინისტროებს შორის სამართალდარღვევების შესახებ ინფორმაციის გაცვლა;
- სკოლაში მოსწავლეთა შორის კონფლიქტის განვითარების და სკოლის გარეთ კონფლიქტის გაგრძელების პრევენციის მიზნით, მანდატურს ექნება მოზარდის შეყოვნების და მშობლისთვის და სამართალდარღვევის შემთხვევაში, პოლიციისთვის დაუყოვნებლივ შეტყობინების ვალდებულება;
- მანდატურის სამსახური ხდება გაცილებით დამოუკიდებელი და მაღალი ლეგიტიმაციის მქონე - მანდატური თანამდებობაზე დაინიშნება არა სკოლის დირექტორის, არამედ მანდატურის სამსახურის უფროსის მიერ, რაც მანდატურის დამოუკიდებლობის ხარისხს გაზრდის. მანდატურის სამსახურის უფროსს, თავის მხრივ, თანამდებობაზე ნიშნავს განათლების მინისტრი;
- თუ დღეს მოქმედი კანონმდებლობით მანდატური შეიძლება გახდეს ზოგადი განათლების მქონე პირი, ცვლილების შემდეგ მანდატურად დაინიშნება მხოლოდ უმაღლესი განათლების მქონე პირი;



- მანდატურის სამსახურში მიღების ასაკი აიწვეს 21 წლამდე;
- იცვლება მანდატურის პროფესიული მომზადების წესი, რომელიც თეორიულ მომზადებასთან ერთად პრაქტიკულ კომპონენტსაც გაითვალისწინებს. გაიზრდება მოსამზადებელი კურსის ხანგრძლივობა. კურსს შესაბამისი ექსპერტები გაუძღვებიან, რაც სწავლების მაღალ ხარისხს და მანდატურთა პროფესიულ ზრდას უზრუნველყოფს. ახალი კურსის შესაბამისად გადამზადებას მოქმედი მანდატურები ეტაპობრივად გაივლიან. კანონპროექტი მიზნად ისახავს მანდატურის სამსახურის ეფექტიანობის გაზრდას და უწყებებს შორის მჭიდრო კომუნიკაციის გზით როგორც სკოლის, ისე მიმდებარე ტერიტორიაზე მოზარდთა შორის დანაშაულის პრევენციას. გარდა საკანონმდებლო ცვლილებებისა, ამ მიმართულებით, შინაგან საქმეთა სამინისტროს და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უკვე გადახდებილია ნაბიჯები. კერძოდ:
- გაღრმავდა მანდატურსა და საპატრულო პოლიციას შორის თანამშრომლობა; გაძლიერდა პატრულირება სკოლის პერიმეტრზე;
- ამოქმედდა ფსიქოლოგიური დახმარების ცხელი ხაზი;
- გაძლიერდა ფსიქოლოგიური მომსახურება სკოლებში. ეს პროცესი ეტაპობრივად მთელ ქვეყანას მოიცავს და საბოლოოდ, ყველა სკოლას ეყოლება კვალიფიციური ფსიქოლოგი;
- ფსიქოლოგებთან თანამშრომლობის შედეგად, განათლების სამინისტროს მიერ შემუშავდა კონკრეტული რეკომენდაციები მშობლებისთვის, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის;
- სარეკომენდაციო ფლაერები ეტაპობრივად ყველა სკოლაში დარიგდება, რაც ხელს შეუწყობს ძალადობისა და ბულინგის შესახებ ცნობიერების ამაღლებას, დანაშაულის პრევენციას, ძალადობის მსხვერპლთა დახმარებას.



წაერთვით ქალი მე-9 სართულიდან გადახტა

თბილისში, წერეთლის გამზირზე, შუახნის ქალი საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან გადახტა. ის ადგილზე გარდაიცვალა.



არსებული ინფორმაციით, ქალს ფინანსური პრობლემები ჰქონდა. მას ერთი არასრულწლოვანი შვილი და ხანდაზმული მშობლები დარჩა.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

თურქეთში საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს

თურქეთის ქალაქ იზმირში ქურდობის ბრალდებით საქართველოს ორი მოქალაქე დააკავეს. ადგილობრივი მედიის ცნობით, 32 წლის ქალმა და 43 წლის მამაკაცმა ქალაქ სამსუნში ოთხი სახლი გაქურდეს და 15 ათასი თურქული ლირა, ოქროსოფილა, ორი კომპიუტერი და დიდი რაოდენობით მაჯის საათები წაიღეს.



საქართველოს მოქალაქეების იდენტიფიცირება სათვალთვალო კამერების საშუალებით მოხდა. ისინი იზმირის ერთ-ერთ სასტუმროში დააკავეს. გავრცელებული ცნობით, სამართალდამცველებმა ნაქურდული ნივთებიც ამოიღეს. დაკავებულებს სასამართლომ წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდა.

თბილისში 40 წლის მამაკაცი ჩახსრილან

ნაძალადეოში, ლომთათის ქუჩაზე ნიღბიანმა პირმა 40 წლამდე მამაკაცი ჩახსრილა. ადგილობრივების თქმით მათ რამდენიმე გასროლის ხმა გაიგეს – მოკლული დავით, ქმოსტელი, მესტახელად „ძივითა“, რომელიც წლები რუსეთში ცხოვრობდა და უბანში მეგობართან მიდიოდა.

მკვლელობის ადგილზე მუშაობდნენ კრიმინალისტები. პარალელურად, ნაძალადევის რაიონის პოლიციაში მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა მეზობლების დაკითხვა.

სამშენებლო სექტორში დარღვევები კიდევ უფრო გასიზრდება. ამის მიზეზი უამრავია: გარდა მანქანებისა, დაზარალებული ტენდერებიდან დაწყებული, კონტროლის სრული უგულებელყოფით დასრულებული საქმე ისაა, რომ დარღვევები ყველაგან, მათ შორის, ავტომაგისტრალების მშენებლობის პროცესშიც.

როგორც ასოციაცია „მშენებლობა ფალსიფიკაციის გარეშე“ თავმჯდომარე ანზორ საკანდელიძე აცხადებს, სამშენებლო ქალაქი დედაქალაქში არსებული განუკითხაობის შედეგია.

„უბედურება ის არის, რომ ეს პრობლემები არ გამოიწვევია. მეტიც, უფრო გასიზრდება. როგორც წესი, ყველა სამუშაო, იქნება ეს სამშენებლო, სარემონტო თუ სხვა, ტენდერზე გადაის და სამუშაოების შესრულებელი კომპანია ამ გზით ირჩევა. ჩვენთან, „სატენდერო მაფია“ მოქმედებს და სატენდერო თანხის გარკვეული ნაწილი სწორედ მას მიაქვს. შედეგად კი, მშენებლებს აღარ ჰყოფნით თანხა, რომ სამუშაო ხარისხიანად შესასრულონ“, – აღნიშნა საკანდელიძემ.

მისივე თქმით, პირველ რიგში საჭიროა, მერიამ საკუთარი სამშენებლო კომპანია დააარსოს, რის შემდეგაც სხვადასხვა ხარვეზებსა თუ დარღვევებზე პასუხისმგებელი თვითონ მერია იქნება.

ექსპერტი სამშენებლო სამართალში უჩა ზაქაშვილი კი მშენებლების არაკვალიფიციურობაზე საუბრობს და აღნიშნავს, რომ არ შეიძლება სხვადასხვა პროფესიის ადა-

სამშენებლო სფეროში პრობლემები არ გამოიწვევა

მიანები იყვნენ მშენებლობით დაკავებულნი.

„ცალკეულ კონკრეტულ ფაქტებზე პასუხისმგებელი პირის გამოვლენა მართალია, მნიშვნელოვანია, თუმცა ეს პრობლემა უფრო გლობალურია. ქვეყანაში ისევე გრძელდება სამშენებლო სამუშაოების არაკვალიფიციური ადამიანების მიერ წარმოება. სამწუხაროდ, საქართველოში არაწინაშესაღებელია, ნებართვა არ არის საჭირო იმ ადამიანებისთვის, ვინც მშენებლობითა დაკავებული. ამიტომ, ყოველდღიურად სხვადასხვა პრობლემა – ხან აღმოჩნდება, რომ სამუშაოები ვერ აკმაყოფილებს სტანდარტებს, ხან მშენებლობებზე ადამიანები იღუპებიან და ა.შ. შესაბამისად, ვფიქრობ რომ აუცილებელი და საჭიროა, სახელმწიფომ ამ სფეროს მიმართ დამოკიდებულება გაამკაცროს და გარკვეული სტანდარტები დაანერგოს“, – განუცხადა „ბიპენს“ ზაქაშვილმა.

თბილისის საკრებულოში კი სამშენებლო ნორმების გამკაცრებაზე საუბრობენ. ურბანული განვითარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოსხაძემ რამდენიმე მიმართულება დაასახელა, რომელშიც საკრებულო მერიასთან ერთად მზად არის, აქტიურად ჩაერთოს.

„როდესაც მსგავს სამუშაოებთან დაკავშირებით პროექტი დგება, მნიშვნელოვანია გაიწეროს ის კრიტერიუმები, რომლითაც



უნდა შედგეს პროექტი. ამასთან, ტენდერი კიდევ უფრო გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს და გამოირიცხოს შემთხვევითობა, რადგან რომელი კომპანია გაიმარჯვებს, სრულფასოვნად უნდა შეასრულოს სამუშაო. მნიშვნელოვანია, რომ მერიის შესაბამისმა სამსახურებმა პროექტის ზედამხედველობის მხრივ უფრო მეტი კონტროლი დააწესონ“, – განაცხადა რევაზ სოსხაძემ.


სპეციალისტები კარგა ხანია, საუბრობენ, რომ შესაცვლელი არა მხოლოდ ტენდერების ჩატარების სისტემა, არამედ გამჭვირვალე უნდა იყოს მთელი პროცესი და პროექტიდან ექსპლუატაციაში ჩაბარების ჩათვლით. ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის პრეზიდენტის შოთა გულბანის თქმით, დიდი პრობლემები უკვე გამოჩნდა ბევრი სახელმწიფო შეკვეთის შესრულების დროს, მათ შორის რაგბის მოედნის მშენებლობაში, გზების მშენებლობაში, სადაც საერთაშორისო ტენდერებს ატარებენ საერთაშორისო ორგანიზაციები და შემდეგ პროექტის ცვლილების გამო, უხარისხოდ სრულდება სამუშაო.

„მსხვილი საგზაო-ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების პროცესში, თუ მაგისტრალის მშენებლობა ხარისხიანად და უსაფრთხოების სტანდარტების მაქსიმალური დაცვით არ მოხდა, მეტროს ინციდენტი ძალიან მცირე იქნება იმ ტრაგედიაზე შედარებით, რაც შეიძლება ახალ მშენებარე გზებზე მოხდეს“ – ამბობს გულბანი.

მოსახლეობისგან თითქმის მიტოვებულ უბნულს ტურიზმი ააღორქინებს!

„ამჟამად საქართველო ყველას გონებაშია, მასზე ყველა ფიქრობს. თბილისი „ცხელ მიმართულებად“ იქცა იმ პირდაპირი ავიარეისის მეშვეობით, რომელიც გასულ წელს დაწესდა ლონდონიდან (ლუტონიდან) და რომელსაც კიდევ ერთი ახალი მარშრუტი — ლუტონი-ქუთაისი დაემატა. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს ყველა საქართველოში მიდის, მაგრამ არა სვანეთში, მთიან მხარეში, რომელიც საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს. აქ არის ოთხი სოფელი, მათ შორის უშგული, რომელიც ევროპაში ყველაზე მაღალ ადგილზე მდებარეობს“ — ასე იწყება გავლენიანი ბრიტანული გამოცემის, „The Independent“-ის მიერ ნიკ რაფაელის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომლის ქართულენოვან ვერსიას მცირე შემოკლებით, საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესი“ გთავაზობთ:

სვანები მკაცრი და დინჯი ხალხია. ისინი არქაულ ქართულ დიალექტზე ლაპარაკობენ და ქრისტიან-მართლმადიდებლები არიან. სვანები ეთნიკურ-კულტურული სპეციფიკით დანარჩენი ქართველებისაგან განსხვავდებიან. სვანეთი დიდი ხნის მანძილზე (უფრო მეტად ზამთრობით) ექვსი თვით იზოლირებული იყო ხოლმე, აქ კანონი თითქმის არ კანონობდა. გავრცელებული იყო ბანდიტიზმი და სისხლის აღების წესი. ეს მდგომარეობა 2000-იან წლებამდე გრძელდებოდა. საქართველოში სვანებზე ხშირად ხუმრობენ — ძალიან უშგული და მიამიტები არიანო — თუმცა, რასაკვირველია, ამას ხმამაღლა არ ამბობენ.



უშგულის თემში უიბიანი საკმაოდ დიდი სვანური სოფელია. აქ ბევრია თავდაცვითი დანიშნულების კოშკები. ქვის საცხოვრებელი შენობები ძირითადად ორსართულიანია, დახურული ხის აივნით, მათგან ზოგი შესაკეთებელია, ზოგი კი რემონტდება. მარეს ნიჟარაძის სახლი კარგ მდგომარეობაშია, თუმცა მისი დეკორატიული აივანი საბჭოურ სიმბოლოებს მოგვაგონებს. მარეხი მე და ჩემს ქართველ გიფსს, სახელად ალექსს, სახლში გვინვევს. „მე აქ მენი ქალის პროფესიით მოვედი. სოფელში მხოლოდ ერთი ექიმი ვიყავი. პაციენტებისთვის სტომატოლოგიც ვყოფილვარ და მცირე ოპერაციებიც გამიკეთებია. ხელფასს არავინ მაძლევდა, არანაირი ტრანსპორტი არ იყო, მესტიამდე ვერც მიხვიდოდი,

მაგრამ მე მინდოდა ხალხისთვის დახმარება გამეწია“.

დღეს მარესი პატარა პანსიონის მფლობელია. ყველაგან, სადაც კი ამის საშუალებაა, სანოლები დგას, თუმცა გაფართოების პროცესიც სრული სვლით მიდის. ძველ საძინებელ ოთახის კედლებზე ორი დიდი ბზარი ჩანს — ეს 1987 წლის ზვავის კვალია. იმ ზვავის შემდეგ ჯიბიანის მოსახლეობის ნახევარი სხვა ადგილზე გადასახლდა. „სულ 50-მდე მცხოვრები დავრჩით, მაგრამ ტუ-

რიზმა წასულები უკან დააბრუნა“, — ამბობს მარესი.

თავისი მიუდგომელი მდებარეობისა და მკაცრი ბუნების წყალობით, სვანეთი მრავალი საუკუნის განმავლობაში ქართული კულტურის დაცვისა და უსაფრთხოების გარანტი იყო, მართლმადიდებელი ტაძრების ჩათვლით. უიბიანთან ახლოს, ბორცვზე, შხარის მთის (5000 მ.) ფონზე, ლამაზი მონასტერი მოჩანს, რომელიც ზემო სვანეთის ეპისკოპოსის ადგილსამყოფელია. ეკლესიის შესასვლელს პონისხელა (დაბალი ცხენის) ძალი დარაჯობს. ამ დროს შავად ჩაცმული წვერიანი ხუცესი გამოდის და ზარს რეკავს. იგი მე-10 საუკუნის სამლოცველოში გვინვევს, სანთელს ანთებს და გვეუბნება, რომ იგი აქ ერთი თვით დარჩება.

უშგულის სოფლებში სხვადას-

ხვანაირი ადამიანები ცხოვრობენ: აქ არის, მაგალითად, სიურეალისტური მხატვარი ფრიდონ ნიჟარაძე, იგი განდევნილ ჰგავს და როგორც ამბობენ, ბევრი ლაპარაკი არ უყვარს, თუმცა ალექსი მისი ნათესავია და მპირდება, გაჩვენებო.

მივდივართ სოფლის მიხვეულ-მოხვეულ ვიწრო ქუჩებში. მოჩანს რუსული სატივითო ავტომანქანა, რომელიც ძველი და გაძარცულია. იქვე ახლოს ძროხები წვანან და იცოხნებიან. ვუახლოვდებით ნახევრად ქვით და ხით აგებულ შენობას. კიბესთან კაცი დგას და საეჭვოდ გვიმზერს, რომელიც ფრიდონი აღმოჩნდა. „მითხარი, როგორი იყო იოსებ სტალინისა და ფრანკლინ რუზველტის პოზიცია თეირანის კონფერენციის დროს?“, — ეკითხება იგი ალექსს და პასუხით კმაყოფილი, სახლში გვინვევს, რათა საკუთარ ბიოგრაფიაზე გვესაუბროს.

„1970-იან წლებში მე თბილისში ვსწავლობდი, მაგრამ იქ ჩემთვის არაფერი მოუციათ. რისი დახატვაც მინდოდა, იმის უფლებას არ მაძლევდნენ. მე საპროტესტო გამოსვლებშიც ვმონაწილეობდი, როცა ქართული ენის აკრძალვა გადაწყვიტეს. დამიჭირეს, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში დამამწყვდიეს, რაღაც ნარკოტიკებს მიკეთებდნენ. ჯანმრთელობა სწორედ იმდროიდან შემერყა“, — გვიყვება ფრიდონი.

მხატვარმა დიდი კარი გააღო და თავის სტუდია-სახელოსნოში მიგვიპატიჟა. „აი, ეს, — მიგვიჩიოებს ნახატზე, რომელზეც დიდი სვანური კოშკია გამოსახული, — ბაბილონის გოდოლია... ეს კი, — გვაჩვენებს ქალის გადაჯვარედინებულ ფეხებს — მკრატელი“. ფრიდონის ნახატები მართლაც პროვოკაციულია, სიურეალისტური. ვეკითხები, საიდან გაქვს ასეთი შთაგონება-მეთქი. „კოსმოსიდან“, — მპასუხობს ფრიდონი უყოყმანოდ.

უკან დაბრუნებისას ფრიდონი უშგულის ალორძინებაზე მესაუბრება. მაჩვენებს ერთ-ერთ ნახატს და მეუბნება: „ეს ჩემთვის ძალიან ძვირფასია. 1999 წელს დაეხატე და თუ გაიყიდება, მთელ ფულს უშგულს მოვასხმარ, იმ ადამიანებს, რომლებიც ზამთარში აქ ჩრებიან“.

დარწმუნებული ვარ, რომ ფრიდონი სურათს კარგ ფასში გააყიდოს.

„THE INDEPENDENT“ (დიდი ბრიტანეთი)

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 სულხან-საბას ძ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
 293-13-34
 599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
ბურამ ბობიაშვილი
 599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
 599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
 514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „თანადგომა“-გაზეთ
 „საქართველოს რესპუბლიკის“
 გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79
 შპს „ახალი საუკუნე“
 იბეჭდება გამომცემლობა
 „**კოლორ პრესში**“
 რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
 ს-323
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა სახურა დღეობდ!

რედაქციის მიერ შეუქმნათავე მასალაში დანიშნული ავტორთა ხარჯი.
ავტორთა მოსაზრებები, შესაქოვა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ვაძეგის სიუჟეტზე პასუხს აგაზან ავტორები.

ქმრები და ცოლები

ერთი ძველ ბერბიტას ჰკითხეს:
 — ნუთუ არიან ამქვეყნად ქალები, რომლებიც კარგს ლაპარაკობენ თავიანთ ქმრებზე?
 — კი, როგორ არა, — მიუგო ბერბიტამ, — ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა ახალ ქმრებს ძველ ქმრებზე ელაპარაკებიან.

პროგრესი

მძიმე ნერვიულ ავადმყოფს ამშვიდებს:
 — უკანასკნელ ხანს მედიცინაში უჩვეულო პროგრესი შეიმჩნევა. ნერვიული უქეიფობა, თქვენ აგრევიგად განუხებთ, კარგა ხნის შესწავლილია, ახლა თქვენ ზუსტად იცით, რომ ნერვიული უქეიფობის მიზეზები სავსებით უცნობია.

ვისი ბავშვები არიან?

— ბავშვების გამო პასუხს ჩვენ არ ვაგებთ, — განაცხადეს ადამმა და ევამ სასამართლოში, სადაც კაცობრიობის მიერ ჩადენილი არაერთი დანაშაულისთვის გამოიძახეს, — ბავშვები მაიმუნებისგან არიან წარმოშობილი, ჩვენ, ბატონებო, ღმერთია მონზე, უშვილო ოჯახი ვიყავით.

განსაცინებელი ა(მ)ბები

სიცყვის თავისყფლება

გამოიწერეთ ან ეოველდეთ იუიღეთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ამით გადაარჩინეთ თქვენი გაზეთი

	უსსოპრი პალატის ქარსი: აუზ ფონდარი - 2.4638; პირი - 3.0763; ბრიტანული მიკროსაბჭოური - 3.5040; 100 რუბლი - 4.3768; თურქული ლირა - 0.6561; ანარბაიქანული მანათი - 1.4604; 1000 სომხური დრამი - 5.1222.	აქილი 6 თებერვლისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბარი - ლაპი +1, ლაპი +14 მთიანი რაიონები - ლაპი -2, ლაპი +9 დასავლეთი საქართველო: ბარი - ლაპი +4, ლაპი +16 მთიანი რაიონები - ლაპი 0, ლაპი +10 თბილისი: ლაპი +5, ლაპი +12	დაავიკაპით, მოგვინაპით: ტელ: 293-13-34, 599-79-76-79 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	--	--	--